



ვიშეგრადის ქვეყნების
და საქართველოს
გამოცდილება
საარჩევნო სისტემის
განვითარების
და არჩევნებში
მოქალაქეების
მონაწილეობის
გაძლიერების საქმეში

2020
თებერვალი

პარტიული სისტემის ევოლუცია
ჩეხეთის რესპუბლიკაში და
მისი კავშირი არჩევნებში მოქალაქეთა
ჩართულობის ხელშეწყობასთან

კლარა ჩმოლიკოვა-კოზლოვა (ქეჰოვერტი, ჩეხეთი) 5

საარჩევნო სისტემა და პარტიული სისტემის
ევოლუცია 1989 წლის შემდგომი პერიოდის
პოლონეთში

კატარჟინა ზელინსკა (ქეჰოვერტი, პოლონეთი) 19

საარჩევნო სისტემა სლოვაკეთში
(არსებული მდგომარეობა და გამოცდილება)

კიტარ გურანი (ქეჰოვერტი, სლოვაკეთი) 32

ამომრჩეველთა პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობა
კარგი მმართველობის და მდგრადი დემოკრატიული
განვითარების უზრუნველსაყოფად

ეკატერინე გამახარია (ქეჰოვერტი, საქართველო) 44

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო
საარჩევნო მოდელები
(ხელისუფლებისა და ოპოზიციის კრთვებები)

ლელა ხატრიძე (ქეჰოვერტი, საქართველო) 60

წინასიტყვაობა

2020 წელი საქართველოსთვის საპარლამენტო არჩევნების წელია. მალე დაიწყება წინასაარჩევნო სამზადისი. ამომრჩეველთა ნაწილმა თავიდანვე იცის, ვის ეკუთვნის მისი ხმა, რომელი პოლიტიკური პარტიაა მისი ინტერესების გამომხატველი, მაგრამ არც თუ ისე ცოტაა ადამიანი, რომელსაც უჭირს პოლიტიკურ ლაბირინთებში გზის გაკვლევა. მეტად მნიშვნელოვანია საარჩევნო პროგრამებში გარკვევა, იმის გაცნობიერება, რატომ ჯობია ესა თუ ის პარტია სხვას, რომელი პარტია უფრო მეტად უზრუნველყოფს თანაბარ სოციალურ შესაძლებლობებს, როგორია არჩევის კრიტერიუმები და ა.შ.

თითქოს ყველამ იცის, რასაც ნიშნავს არჩევნები, მაგრამ მაინც მოვიხმოთ მისი განმარტება: „არჩევნები არის პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა“.

დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნები ხალხის ნებას უნდა ეფუძნებოდეს. არჩევნების შედეგად მოსული სახელისუფლებო ორგანოები მოსახლეობის ინტერესებს უნდა ემსახურობდნენ. საქართველოსთვის ეს ჯერ კიდევ სურვილი და მომავლის მიზანია. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო გამოცდილების გაცნობას.

ეს კრებული, რომელიც მომზადდა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ მხარდაჭერილი და ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული პროექტის „ონლაინ ხმის მიცემა-ო-მეტრი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის“ ფარგლებში, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მასში წარმოდგენილი ხუთი ანალიტიკური სტატია დაინტერესებულ პირებს აცნობს პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებულ აქტუალურ საკითხებს.

ვიშეგრადის ქვეყნების - ჩეხეთის, პოლონეთის და სლოვაკეთის - ექსპერტები კლარა ჩმოლიკოვა-კოზლოვა, კატარჟინა ზელინსკა და პიტერ გურანი გვიზიარებენ თავიანთ სახელმწიფოებში დაგროვილ გამოცდილებას საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების, განვითარებისა და ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ. მათ სტატიებში აღწერილია, თუ რა როლს ასრულებს წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა ინფორმირების და აქტიურობის გაზრდის საქმეში ევროპაში და კერძოდ, ვიშეგრადის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ონლაინ პლატფორმა „ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია“ (Voter Advice Application). აღნიშნულ პლატფორმაში ინტეგრირებულია არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამული მიმართულებები და პრიორიტეტები. თავად აპლიკაცია შესაძლებლობას აძლევს ამომრჩევლებს, გაიგონ, თუ რომელი პოლიტიკური პარტია დგას ყველაზე ახლოს მათ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან, რაც ზრდის მოქალაქეთა ინფორმირებულობას და გააზრებული გადაწყვეტილების მიღების

შანსს არჩევნებზე. ევროპელი ექსპერტები, თავიანთ ქვეყნებში არსებული გაკვეთილების საფუძველზე, სთავაზობენ დაინტერესებულ პირებს კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პლატფორმის უკეთ და ეფექტიანად დანერგვა საქართველოში.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი ექსპერტების - ეკატერინე გამახარიასა და ლელა ხათრიძის ანალიტიკური სტატიები პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობასა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო საარჩევნო მოდელების შესახებ.

მათ მიერ წარმოდგენილ ანალიტიკურ სტატიებში გაანალიზებულია პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნდობის მნიშვნელობა საქართველოში დემოკრატიის მდგრადი განვითარებისათვის. ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ პოლიტიკური ნდობის ზრდაზე და მიმოხილულია საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს მოსახლეობის უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე და ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე. მასში წარმოდგენილია საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად კონკრეტული რეკომენდაციები. ასევე განხილულია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შესაძლო საარჩევნო სისტემების მოდელები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოში ძირითადი პოლიტიკური პარტიების მიერ. ნაშრომში მოყვანილია ამ მოდელების შესაძლო სცენარები და გავლენა საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტსა და პოლიტიკურ განვითარებაზე და გაანალიზებულია მათი შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან.

აღნიშნული კრებულის გაცნობის შემდეგ მკითხველს ექნება შესაძლებლობა, მიხედვით, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნებს, იმაზე დიდიც კი, ვიდრე თითოეულ ჩვენგანს ჰგონია. პოლიტიკურ პარტიებზე აქცენტის გაკეთება, პარლამენტის დეპუტატების არჩევა განაპირობებს ქვეყნის მომავალს, სტაბილურობას, ჩვენი ოჯახების კეთილდღეობას. ამიტომაცაა აუცილებელი მოქალაქეთა მეტი ჩართულობა წინასაარჩევნო კამპანიაში, მეტი აქტიურობა და საბოლოოდ - ხმის მიცემა ღირსეული კანდიდატისთვის.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ერთ-ერთ სტატიაში გამოხატულ მოსაზრებას, რომელსაც საუკუნეების მერეც არ დაუკარგავს აქტუალობა:

„მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა საკმარისი საკვებით, სამხედრო აღჭურვილობით და ნდობით მმართველის მიმართ... კითხვაზე, თუ საჭირო გახდა ამ სამთავროს არჩევა, რომელი შეიძლება დათმოდეს? – „ჯარი“, - უპასუხა ოსტატმა. „თუ დარჩენილ ორთაგანაა არჩევანი გასაკეთებელი, რომელი შეიძლება დათმოდეს?“ - „საკვები... რადგან ადამიანი შეიძლება გარდაიცვალოს ადრე თუ გვიან... მაგრამ თუ ხალხმა დაკარგა ნდობა მმართველის მიმართ, სახელმწიფოში ვერ იქნება სტაბილურობა და საზოგადოება ვერ იარსებებს“, - უპასუხა კონფუციმ“.

ჩეხეთი

პარტიული სისტემის
ევოლუცია
ჩეხეთის რესპუბლიკაში და
მისი კავშირი არჩევნებში
მოქალაქეთა ჩართულობის
ხელშეწყობასთან

კლარა ჩმოლიკოვა-კოზლოვა
გენდერული კვლევები, o.p.s.

აკრონიმები და თარგმანი

ANO 2011 – Aktivita nezávislých občanů – „დიახ 2011“ – ძირითადად, შეიქმნა „დამოუკიდებელ მოქალაქეთა ასოციაციის“ ბაზაზე

ČSSD - Česká strana sociálně demokratická – „ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია“

Defenestrace 2010 – „დეფენესტრაცია 2010“

HD - Hnutí duchodců za životní jistoty – „პენსიონერთა მოძრაობა უსაფრთხო სიცოცხლისთვის“

HSD - Hnutí za samosprávnou demokracii – Společnost pro Moravu a Slezsko – „მოძრაობა თვითმმართველი დემოკრატიისთვის - მორავიისა და სილეზიის საზოგადოება“

KDU-ČSL- Křesťansko-demokratická unie - Československá strana lidová – „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი - ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტია“

KSČ – Komunistická strana Čech, Moravy a Slezska – „ჩეხეთის კომუნისტური პარტია“

ODA - Občanská demokratická alliance – „სამოქალაქო დემოკრატიული ალიანსი“

ODS - Občanská demokratická strana – „სამოქალაქო დემოკრატიული პარტია“

OF - Občanské forum - „სამოქალაქო ფორუმი“

ROI - Romská občanská iniciativa – „ბოშათა სამოქალაქო ინიციატივები“

VV - Věci veřejné – „საზოგადოებრივი საქმეები“

VAA - Voting Advice Application - „საარჩევნო რჩევების აპლიკაცია“

Volební kalkulačka – „საარჩევნო ხმების გამომთვლელი აპლიკაცია“

Inventura hlasování – „საარჩევნო ხმების ასახვა“

1. ანგარიშის რეზიუმე

ანგარიში ასახავს ჩეხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში პარტიული სისტემის ევოლუციას. ამ მიზნით იგი გვათავაზობს ჩეხოსლოვაკიის ისტორიის მოკლე მიმოხილვას ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ პერიოდში და მის გავლენას აქ პარტიული სისტემის ევოლუციასა და მის ხელახლა ჩამოყალიბებაზე.

ანგარიშში გამოყოფილია ევოლუციის ხუთი მთავარი პერიოდი, რომელთაც გავლენა მოახდინეს პოლიტიკაში დღესდღეობით არსებულ მდგომარეობასა და პარტიულ სისტემაზე. დოკუმენტის მთავარი თემები მოქალაქეთა ნების გამოხატვის საკითხთან კავშირში შემდეგია: შესაძლო გავლენა სისტემაზე, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკის შექმნაში და მათი რაოდენობა პოლიტიკოსთა შორის, პოპულიზმის აღმასვლა.

ამ თემების განხილვა ასევე საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ პირდაპირი დემოკრატიის ნაკლოვანებები ან, უფრო ზუსტად, მისი მოულოდნელი შედეგები. როგორც ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითმა აჩვენა, ხმის მიცემის პრეფერენციულმა სისტემამ, როგორც ინდივიდუალური არჩევანის გამოხატულებამ, და ამომრჩეველთათვის კანდიდატთა სიიდან არჩევის საშუალების მიცემამ შესაძლებელია მიგვიყვანოს „ძლიერი პიროვნებების“ აღზევებამდე, რაც, ჩვეულებრივ, პოპულიზმთანაა დაკავშირებული, რადგან ეს ის კანდიდატები არიან, რომელთაც მოახერხეს საკუთარი თავის რეკლამირების გზით საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება.¹ შედეგად მივიღეთ არა სამოქალაქო საზოგადოებრივი თვითშეგნების გაძლიერება, არამედ პირიქით, პოლიტიკური იდენტობის განმსაზღვრელი ისეთი ფაქტორების მნიშვნელობის შესუსტება, როგორებიცაა: კლასი, სოციოეკონომიკური სტატუსი, გენდერი და ა. შ., რომლებიც, ჩვეულებრივ, განსაზღვრავდნენ პოლიტიკური პარტიებისადმი განწყობას. ყოველივე ამის ნაცვლად გადამწყვეტ ფაქტორად ძლიერი ლიდერი იქცა.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ დოკუმენტში განხილულია ე.წ. საარჩევნო რჩევების სხვადასხვა ელექტრონული აპლიკაცია (Voting advice applications), რომლებიც ჩეხეთში გამოიყენება. წარმოდგენილი და განხილულია ოთხი მთავარი მიდგომა: მონაცემთა ჟურნალისტიკა, როგორც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყარო; კანდიდატთა „ინტერაქტიური“ სიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, შევარჩიოთ კანდიდატთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესო კრიტერიუმი (მაგ.: ასაკი, სქესი, განათლება) და ავლენს, რომელი კანდიდატი შეეფერება ყველაზე მეტად ჩვენს კრიტერიუმებს; „Inventura hlasování“ (საარჩევნო ხმების ასახვა), როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ადგენს შესაბამისობას პარლამენტში განხილულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მოსაზრებას და პარლამენტის წევრის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას შორის (მათი სახელის და არა პარტიული კუთვნილების მიხედვით); და ბო-

1 Jan Červenka . 2011. Stranický systém v restrukturalizaci? Volby 2010 v kontextu percepce politiky a politických stran českou veřejností. Naše společnost 9 (2): 44-59.

ლოს ჩეხეთის კონტექსტში გამოყენებული საარჩევნო რჩევების აპლიკაცია, რომელიც Vote-O-Meter აპლიკაციის მსგავსია. ამასთან, სახელმწიფო ან რეგიონალურ დონეზე განსხვავებული აპლიკაციები გამოიყენება.

2. შესავალი

ამ ტექსტის მიზანია 1989 წლის შემდეგ ჩეხეთის რესპუბლიკაში პარტიული სისტემის ევოლუციის ანალიზი და შეფასება. ანგარიში მოიცავს არა მხოლოდ რევოლუციის წლებს, არამედ შემდგომი განვითარების და სტაბილიზაციის პერიოდს ქვეყანაში და ასევე თანამედროვე ტენდენციებს. ძირითადი ყურადღება დაეთმობა მოქალაქეებსა და პარტიებს შორის ურთიერთობის ასპექტებსა და პოლიტიკას/პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობებს. აღწერილი იქნება ისეთი აქტივობა, როგორიცაა საარჩევნო რჩევების აპლიკაცია. განხილული იქნება მოქალაქეთა როლი და მათი ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გენდერულ საკითხებს პარტიულ სისტემაში და ქალთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ თემებს.

ანგარიშის ბოლო ნაწილი ეთმობა ზოგად რეკომენდაციებს, კვლევისას გამოვლენილ გამოწვევებს და მიღებულ გაკვეთილებს. ქართული კონტექსტისთვის მნიშვნელოვანი გზავნილების გამოკვეთისას გათვალისწინებულია ქუთაისში 24-25.11.2019 გამართული ვორკშოპის შედეგები, სადაც ანგარიშის პროექტის წარდგენა მოხდა.

3. კვლევის მეთოდოლოგია და შეზღუდვები

მეთოდური თვალსაზრისით, ანგარიში ეფუძნება სამაგიდო გამოკვლევის შედეგებს და იყენებს არსებული წყაროების მეორად ანალიზს. კვლევის ძირითადი მეთოდია დოკუმენტების ანალიზი. განხორციელდა ისეთი წყაროების ანალიზი, როგორებიცაა: წიგნები, სტატიები, ბროშურები, პროექტების ანგარიშები, ასევე შესწავლილ იქნა პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები, საარჩევნო რჩევების აპლიკაციისთვის შეკითხვების ფორმულირების მეთოდები და აპლიკაციის ონლაინ ფორმატის პრეზენტაცია. გამოყენებულია ინტერნეტიდან და ჩეხეთში ამ სფეროში მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ჟურნალებიდან მოპოვებული ინფორმაცია.

ამ ანალიზის პარალელურად განხორციელდა ჩეხეთის კონტექსტში საარჩევნო რჩევების აპლიკაციებში არსებული ტენდენციების და მონაცემთა ჟურნალისტიკის შესწავლა. აპლიკაციების ფუნქციონირების დეტალურად გარკვევის და რეკომენდაციების ადეკვატურად ჩამოყალიბების მიზნით 2019 წლის ოქტომბერში განხორციელდა პერსონალური ინტერვიუ საარჩევნო რჩევების აპლიკაციის პასუხისმგებელ პირთან. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ შეიცავდა ღია შეკითხვებს და 1,5 საათი გაგრძელდა. მთავარი საკვლევი კითხვები შემდეგი იყო: როგორ ხდება საარჩევნო რჩე-

ვების აპლიკაციების, კონკრეტულად კი მათი შემადგენელი შეკითხვების მომზადება? როგორ ხდება მათი პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებასა და პარტიებში? ხომ არ ახდენს თავად ეს შეკითხვები ზეგავლენას თემების პრიორიტეტულობაზე (agenda setting), თუ უბრალოდ არსებულზე რეაგირებაა? რა ინფორმაციის მიღება შეიძლება ჩეხეთის გამოცდილებიდან და რა შეიძლება ვისწავლოთ მისგან?

ჩეხეთის პარტიების ევოლუციის საკითხის გააზრებისთვის აუცილებელია თავად ჩეხეთის რესპუბლიკის (ოფიციალურად დაფუძნდა 1.1.1993) წინამორბედთა ისტორიის გააზრება: ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკა (1990-1992), ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა (1948 წლიდან 1989 წლის ხავერდოვან რევოლუციამდე პერიოდში) და ჩეხოსლოვაკია (1918 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე და შემდგომ 1948 წლის ცვლილებებამდე). ამის აღნიშვნა მნიშვნელოვანია, რადგან პარტიების ისტორია იყო/არის/შესაძლებელია იყოს დაკავშირებული სახელმწიფოს ისტორიულ წარსულთან.

4. შედეგები

პარტიული სისტემის ევოლუციის პროცესში გამოვყოფთ შემდეგ პერიოდებს:

1. „სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბების პერიოდი“ - მოიცავს პერიოდს 1989 წლის ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციიდან 1990² წლის ივნისში გამართულ პირველ დემოკრატიულ არჩევნებამდე, რომლის მთავარი მიზანი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასვლა და სამოქალაქო ფორუმის (Občanské forum), როგორც ყოფილი ეროვნული ფრონტის და კონკრეტულად კომუნისტური პარტიის მთავარი ოპოზიციის, ჩამოყალიბება. ეს მიზნები წარმატებით განხორციელდა პირველი თავისუფალი არჩევნების დროს. ასევე წარმატებას მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტიამ (Československá strana lidová) და „მოძრაობამ თვითმმართველი დემოკრატიისთვის - მორავიისა და სილეზიის საზოგადოება“ (Hnutí za samosprávnou demokracii – Společnost pro Moravu a Slezsko), რომლებიც დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ არჩევნებში.
2. „სისტემის ჩამოყალიბების პერიოდი“ – 1990 წლის ივნისი - 1992 წლის ივნისი³. ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი ახალი პარტია შეიქმნა, ნაწილი კი ხელახლა ჩამოყალიბდა სამოქალაქო ფორუმის დატოვების შემდეგ და მათ არჩევნებისთვის დამოუკიდებელი მიდგომები აირჩიეს. მაგალითად, შეიქმნა „პენსიონერთა

2 Fiala, Petr, Mareš, Miroslav, Pšejka, Pavel. 2000. Systém politických stran v letech 1989 - 1998. In: Marek, Pavel a kol. (eds.): Přehled politického stranictví na území českých zemí a Československa v letech 1861-1998. Gloria: Rosice u Brna.

3 Fiala, Petr, Mareš, Miroslav, Pšejka, Pavel. 2000. Systém politických stran v letech 1989 - 1998. In: Marek, Pavel a kol. (eds.): Přehled politického stranictví na území českých zemí a Československa v letech 1861-1998. Gloria: Rosice u Brna

მოძრაობა უსაფრთხო სიცოცხლისთვის“ და „ბოშათა სამოქალაქო ინიციატივები“. ზოგადად, სამოქალაქო ფორუმი ერთგვარ ქოლგას წარმოადგენდა როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოლიტიკოსების, ახალშექმნილი თუ განახლებული პარტიებისთვის. როგორც ვაცლავ ჰაველმა განაცხადა, „სამოქალაქო ფორუმი არ შექმნილა სახელწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, არამედ სიტუაციის შეცვლისკენ ხალხის ლტოლვისა და ნების გამოსახატად...“⁴. ამდენად, ამ დანაწევრებას შედეგად მოჰყვა შემდგომში 1991 წლის თებერვალში პარტიის დაშლა და შემდეგი პარტიების წარმოქმნა: სამოქალაქო დემოკრატიული ალიანსი (Občanská demokratická aliance), სამოქალაქო მოძრაობა (Občanské hnutí) და სამოქალაქო დემოკრატიული პარტია (Občanská demokratická strana).

3. „სისტემის სტაბილიზაციის პერიოდი“ – 1992 წლის ივნისი - 1998 წლის ივნისი⁵. ეს პერიოდი უნდა განვიხილოთ ჩეხეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკების გაყოფის კონტექსტში, რასაც, ზოგადად, დიდი ცვლილებები არ გამოუწვევია ჩეხეთში ჩამოყალიბებულ პარტიულ სისტემაში. ზოგმა პარტიამ რეაგირება მოახდინა ამ სიტუაციაზე და არჩევნების პროცესში გამოეხმაურა ამ საკითხს. მიუხედავად ამისა, სერიოზული ზეგავლენა გაყოფას პროცესებზე არ მოუხდენია. 1996 წლის არჩევნებამდე საპარლამენტო პარტიების რაოდენობა იცვლებოდა ხშირად საპარლამენტო არჩევნების შედეგებისგან დამოუკიდებლად⁶.
4. არსებული ოპოზიციური (მემარცხენე-მემარჯვენე) პარტიული სისტემის ფარდობითი სტაბილიზაცია - 1998-2010, როცა შედარებით ძლიერ მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებს ჰქონდათ მხარდაჭერა მცირე პარტიებისაგან (მემარჯვენე-ცენტრისტული ორიენტაციის სამოქალაქო დემოკრატიული პარტია (Občanská demokratická strana) და მემარცხენე-ცენტრისტული ორიენტაციის ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია (Česká strana sociálně demokratická). ორ მთავარ ოპოზიციურ პარტიას შორის თანამშრომლობა შედგა 1998 წელს ე.წ. ოპოზიციური შეთანხმებით (Opoziční smlouva), რაც ერთგვარი კარტელური გარიგება იყო ჩეხეთის ორ დიდ პარტიას შორის.
5. ქარიზმატული ლიდერების, ინდივიდუალური არჩევანის და პოპულიზმისკენ მიმართული ცვლილებები - 2010 წლიდან დღემდე. 2010 წელს ორმა პარტიამ - TOP 09 და „საზოგადოებრივი საქმეები“ (Věci veřejné), რომლებიც ვერ ჩაითვლებიან სისტემის რელევანტურ სუბიექტებად, რადგან მანამდე არც ერთ საპარლამენტო

4 Havel, Václav. 2006. Prosím stručně. Gallery, Praha.

5 Fiala, Petr, Mareš, Miroslav, Pšeja, Pavel. 2000. Systém politických stran v letech 1989 - 1998. In: Marek, Pavel a kol. (eds.): Přehled politického stranictví na území českých zemí a Československa v letech 1861-1998. Gloria: Rosice u Brna

6 Marek, Jakub. 2006. Vývoj československých a českých politických stran po roce 1989 – Diplomová práce. S. 29 https://is.muni.cz/th/idxin/Diplomova_prace.pdf

არჩევნებში არ ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა, საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციები მოიპოვეს ახლადარჩეულ დეპუტატთა პალატაში და მოგვიანებით სამთავრობო პარტიებად ჩამოყალიბდნენ. სისტემისთვის, რომელიც ამ დროს შედარებით ჩამოყალიბებული და სტაბილური იყო, ეს იყო შოკი, რომელმაც გავლენა მოახდინა პრაქტიკულად ყველა მანამდე არსებულ პარტიაზე⁷. ეს შეიძლება ჩაითვალოს სისტემის ორი დომინანტური პოლუსის - ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და სამოქალაქო დემოკრატიული პარტია - დასუსტების ეპოქის დასაწყისად⁸. ეს ახალი ტენდენცია დადასტურდა 2013 წლის არჩევნებშიც, სადაც, ძირითადად, დამოუკიდებელ მოქალაქეთა ასოციაციის საფუძველზე შექმნილმა პარტიამ ANO 2011 („დიახ 2011“), როგორც ახალმა პოლიტიკურმა სუბიექტმა, ამომრჩეველთა ისეთი მხარდაჭერა მიიღო, რომ პარლამენტში მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა და მთავრობის ფორმირებაში მიიღო მონაწილეობა. „საზოგადოებრივი საქმეები“ (Věci veřejné) სრულიად ახალ ფენომენს წარმოადგენდა ჩეხეთის პოლიტიკურ გარემოში. იგი საკუთარ თავს წარადგენდა როგორც „პირდაპირი დემოკრატიის“ ქვევიდან ზევით მიმართულ მოდელს და ცენტრისტულ ან მემარჯვენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ ერთეულს. ამასთან, ეს არის დაჯგუფება, რომელიც მთლიანად ბმულია ABL უსაფრთხოების სააგენტოს დამფუძნებელ ვიტ ბარტას და მისი ბიზნეს პარტნიორების ბიზნეს საქმიანობასთან და ფირმებთან.⁹ მსგავსი სიტუაციაა პარტიასთან ANO 2011 დაკავშირებით, სადაც წამყვანი როლი ეკუთვნის ანდრეი ბაბიჩს, აგროფერტ ჰოლდინგის მფლობელსა და პარტიის ლიდერს. ორივე ეს ახალი პარტია ამბიციური, უზვად დაფინანსებული და მუდმივად მარკეტინგზე ორიენტირებული პროექტის განხორციელებაა. ანდრეი ბაბიჩი ამჟამად ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრია.

წარმოდგენილი ანალიზი საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ამ ბუნდოვანი იდეოლოგიის მქონე ახლდაფუძნებული პარტიების მიერ პოპულისტური მმართველობისკენ გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით:

1. ფართო საზოგადოება გამოხატავს უნდობლობას პარტიების და პოლიტიკოსების მიმართ და ამგვარად გზა ეხსნება ახლადშექმნილ პარტიებს, რომლებიც დისტანცირებას აკეთებენ „ყოფილი პარტიებისგან“¹⁰. ამდენად, 2010

7 Jan Červenka . 2011. Stranický systém v restrukturalizaci? Volby 2010 v kontextu percepce politiky a politických stran českou veřejností. Naše společnost 9 (2): 44-59.

8 Vladimír Hanáček. 2010. Typologie českého stranického systému po roce 1989. <http://www.e-polis.cz/clanek/typologie-ceskeho-stranickeho-systemu-po-roce-1989.html>

9 Jan Červenka . 2011. Stranický systém v restrukturalizaci? Volby 2010 v kontextu percepce politiky a politických stran českou veřejností. Naše společnost 9 (2): 44-59.

10 LADISLAV CABADA Český stranický systém v roce 2016: personalizační tendence, populismus a anti-politické přístupy. In: POLITICS IN CENTRAL EUROPE 12 (2016) 2S. P: 67-76.

წლის არჩევნები მოიაზრება, როგორც ამომრჩევლის ახლებური ქცევა, მიმართული იმ პოლიტიკოსების „დასჯისაკენ“, რომლებმაც საზოგადოებას ძალიან გაუცრუეს იმედები.¹¹

2. ბევრმა მცირე პარტიამ, რომელიც ვერ ახერხებდა პარლამენტში მოსახვედრად 5%-იანი ბარიერის გადალახვას, მიიღო მხარდაჭერა.¹²
3. ფართოდ გამოიყენებოდა პრეფერენციული ხმის მიცემის ფორმა და, შესაძლოა, ამან მოახდინა გავლენა პარტიის ლიდერის, როგორც ძლიერი ფიგურის „პერსონალიზებულ“ აღქმაზე.

ამდენად, აღსანიშნავია, რომ არჩევნებამდე საჯარო სივრცეში გავრცელებულ მონობებს და სწრაფვას ინდივიდუალური არჩევანის და კანდიდატთა სიიდან შერჩევისას ამომრჩეველთა პასუხისმგებლობის ზრდისკენ (აქტიურ მოქალაქეთა ინიციატივა დეფენესტრაცია 2010)¹³ აბსოლუტურად მოულოდნელი ეფექტი ჰქონდა, რაც გამოიხატა ძლიერი პიროვნებების ნომინირებაში, რომელთაც შეეძლოთ მედიისა და მარკეტინგის გამოყენება საკუთარი თავის და პოლიტიკის პოპულარიზაციისთვის და შედეგად, პოლიტიკა დღესდღეობით სულ უფრო და უფრო „პერსონალიზებული“ ხდება. ეს კი ხელს უწყობს პოლიტიკური იდენტობის განმსაზღვრელი ისეთი ფაქტორების მნიშვნელობის შესუსტებას, როგორებიცაა: კლასი, სოციოეკონომიკური სტატუსი, გენდერი და ა. შ., რომლებიც, ჩვეულებრივ, განსაზღვრავდნენ პოლიტიკური პარტიებისადმი განწყობას.¹⁴

არჩევნებში მონაწილეობა

ამომრჩეველთა აქტიურობის დონე ყველაზე მაღალი 1990 წელს იყო და 95%-ს მიაღწია. 1992 წელს ეს რიცხვი 85% იყო, 1996 წელს 76%-მდე დაეცა, 1998 წელს კი 74%-მდე შემცირდა. 2002 წლის არჩევნებში დაფიქსირდა ამომრჩეველთა ყველაზე დაბალი აქტიურობა 58%, – ხოლო 2006 წელს - 64%.¹⁵

აღსანიშნავია, რომ, ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების პარალელურად, ქალთა

11 Jan Červenka . 2011. Stranický systém v restrukturalizaci? Volby 2010 v kontextu percepce politiky a politických stran českou veřejností. Naše společnost 9 (2): 44-59.

12 Jan Červenka . 2011. Stranický systém v restrukturalizaci? Volby 2010 v kontextu percepce politiky a politických stran českou veřejností. Naše společnost 9 (2): 44-59.

13 Jan Červenka . 2011. Stranický systém v restrukturalizaci? Volby 2010 v kontextu percepce politiky a politických stran českou veřejností. Naše společnost 9 (2): 44-59.

14 LADISLAV CABADA Český stranický systém v roce 2016: personalizační tendence, populismus a anti-politické přístupy. In: POLITICS IN CENTRAL EUROPE 12 (2016) 2S. P: 67-76.

15 Linek, Lukáš. Volební systém, stranický systém a parlament. In: Pšeja, Pavel (ed.). Stranický systém České republiky. Politické strany a jejich vývoj 1989-1998. P. 43

წარმომადგენლობა პოლიტიკაში თანდათანობით იზრდებოდა. 1990 წლიდან მოყოლებული, მათი პროცენტული რაოდენობა პარლამენტში სტაბილურად რჩებოდა 15%-სა და 22%-ს შორის, ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობაში მერყეობდა 0%-დან 23,5%-მდე.¹⁶ 1992 წელს პარლამენტის წევრ ქალთა პროცენტული წილის 8,6%-მდე შემცირება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან პარლამენტი ამით 40 წლის წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა (ქალთა წილი იგივე იყო 1946-1948 წლებში).¹⁷

ასევე განსხვავებულია ქალთა პროცენტული წილი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში და საუკეთესო შემთხვევაში აღწევს 30-50%-ს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი რაოდენობა მენეჯმენტსა და წამყვან პოლიტიკოსთა შორის თითქმის იგივეა დიდ და მცირე პარტიებში - საშუალოდ ქალი ლიდერები საერთო რაოდენობის მხოლოდ 1/4-ს შეადგენენ. საინტერესოა, რომ პარტიებს, რომლებშიც ქალთა ყველაზე დიდი რაოდენობაა (ჩეხეთის კომუნისტური პარტია, „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი - ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტია“), ზედა რგოლებში, პრაქტიკულად, არც ერთი ქალი არ ჰყავთ.¹⁸

პრეფერენციული ხმის მიცემა, რომელიც 2010 წელს გამოიყენეს და რასაც წინა თავშიც შევეხეთ, პოტენციურად დადებითი შედეგების მომტანია ქალი კანდიდატებისთვის. პარლამენტის წევრებს შორის ქალების რაოდენობა 22%-მდე გაიზარდა.¹⁹ თუმცა ეს შედეგი არ აღმოჩნდა პოზიტიური ტენდენციის მიმანიშნებელი, რადგან მომდევნო რეგიონალურ არჩევნებში ქალთა წილი შემცირდა. ეს გამოწვეულია ისეთი ფაქტორების ურთიერთქმედებით, როგორებიცაა: ქალთა პოლიტიკაში ჩართვისთვის ხელისშემშლელი ინსტიტუციური ბარიერები, პარტიული სიისთვის კანდიდატების შერჩევის არსებული პრაქტიკა და საარჩევნო სისტემა მთლიანობაში.²⁰

16 Adamusová, Marcela a kol. Politická angažovanost žen v České republice.

17 Havelková, Hana. 2006. Jako v loterii. Politická reprezentace žen v ČR po roce 1989. In: Hašková, Hana, Křížková, Alena a Linková, Marcela (eds.). Mnohohlasem. Sociologický ústav Akademie věd: Praha. 25-42. P. 29

18 Havelková, Hana. 2006. Jako v loterii. Politická reprezentace žen v ČR po roce 1989. In: Hašková, Hana, Křížková, Alena a Linková, Marcela (eds.). Mnohohlasem. Sociologický ústav Akademie věd: Praha. 25-42. P. 34

19 Adamusová, Marcela a kol. Politická angažovanost žen v České republice. P. 88

20 Rakušanová, Petra a Lenka Václavíková Helšusová. 2006. Ženy v mužské politice. In: Hašková, Hana, Křížková, Alena a Linková, Marcela (eds.). Mnohohlasem. Sociologický ústav Akademie věd: Praha. 43-60. P. 44

5. მიღებული გაკვეთილები

წინა თავში წარმოდგენილი იყო ჩეხეთის რესპუბლიკაში პარტიული სისტემის ევოლუციის მოკლე მიმოხილვა. იქვე დაისვა საარჩევნო სისტემაში ამომრჩეველთათვის მეტი არჩევანის მიცემის შესაძლო ნეგატიური ეფექტის საკითხიც. ამ ფაქტორის გამოყენება პოპულისტებს დიდი წარმატებით შეუძლიათ.

მიღებული გაკვეთილების შეჯამებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ჩეხეთის კონტექსტში დანერგილი საარჩევნო რჩევების აპლიკაციების (VAA) და ჩეხ ამომრჩეველზე მათი ზეგავლენის ანალიზი. ამ მიზნით განხორციელდა არსებულ აპლიკაციებთან დაკავშირებული სამაგიდო კვლევა და შემდგომ - ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ.

სამაგიდო კვლევამ გამოავლინა ამ სფეროში მინიმუმ ოთხი უაღრესად საინტერესო მაგალითი. (1) **კანდიდატთა ინტერაქტიური სია**, რომელმაც 2017 წელს ამომრჩევლებს საშუალება მისცა, თითოეული პარტიის კანდიდატთა სიები დაეხარისხებინათ კანდიდატთა ასაკის, სქესის, განათლების და ასევე იმ რეგიონების მიხედვით, რომელთაც ესა თუ ის კანდიდატი წარმოადგენდა. შემდეგ ეტაპზე აპლიკაცია შესაძლებელს ხდის პარტიების ჩამონათვალის შესაბამისი თანმიმდევრობით დალაგებას. (2) **მონაცემთა ჟურნალისტიკის** წყალობით საერთო სტატისტიკა გამოქვეყნდა მედიაში. მასში შეჯამებული იყო კანდიდატთა მახასიათებლები და, შესაბამისად, შესაძლებელი ხდებოდა შედეგების გასაშუალება, რაც უაღრესად სასარგებლო გამოდგა. ეს მიდგომა გამოყენებულია 2017 წლის სტატიაში, სადაც ასეთი დასკვნაა გაკეთებული:

„მაგალითად, ქალები უფრო ხშირად გვხვდებიან მემარცხენე პარტიების, ვიდრე მემარჯვენე პარტიების კანდიდატთა სიებში. ყველაზე დაბალანსებული განაწილება ქალი და მამაკაცი კანდიდატებისა წარმოდგენილია ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიაში, უფრო მეტიც, კრავოვოჰრადეცკის მხარის კანდიდატთა სიაში ქალების რაოდენობა აჭარბებს მამაკაცებისას (თუმცა ისინი სიების ბოლო ნომრებად არიან შეყვანილი)“²¹.

ბოლო ათწლეულში ასევე ფართოდ გამოიყენება „**საარჩევნო ხმების გამომთვლელი აპლიკაცია**“ (Volební kalkulačka) (3), რაც ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს, შემოთავაზებულ საკითხებთან დაკავშირებული საკუთარი მოსაზრებები შეადარონ პარტიების წარმომადგენელთა პოზიციებს. აპლიკაციის მიზანია ამომრჩეველთათვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შანსის მიცემა. (4) ასევე შესაძლებელია პარლამენტის წევრების მიერ ამა თუ იმ საკანონმდებლო საკითხთან დაკავშირებით მიცემული ხმის პო-

21 Boček, Jan a Jan Pospíšil. 2017. Interaktivní kandidátky: seřad'te si strany podle vzdělání, věku nebo podílu žen. Zdroj: https://www.irozhlas.cz/volby/interaktivni-kandidatky-seradte-si-strany-podle-vzdelani-veku-nebo-podilu-zen_1709191033_jab

ტენციური ამომრჩევლების პოზიციასთან შედარება და ამ აპლიკაციას „საარჩევნო ხმების ასახვა“ („inventura hlasování“) ეწოდება.

ჩეხეთში საარჩევნო რჩევების აპლიკაციების და უფრო კონკრეტულად - საარჩევნო ხმების გამომთვლელი აპლიკაციების სულ მცირე სამი პროვაიდერია:

1) Euandi.cz - საერთაშორისო თანამშრომლობის პროდუქტი და 2019 წლის ევროპის საპარლამენტო არჩევნების აპლიკაციაა. მისი გამოყენება საერთაშორისო მასშტაბით განხორციელდა და მასში ჩეხი ექსპერტებიც იყვნენ ჩართულნი. პროგრამული უზრუნველყოფა ეკუთვნის კომპანიას xUpery Ltd, რომელიც ციურიხშია დაფუძნებული სახელწოდებით „Societly“.²²

2) Aktualně.cz - ვებსერვერი, რომელიც მომხმარებელს ინფორმაციას აწვდის ონლაინ მედია პლატფორმის გამოყენებით და VAA-ს საკუთარ სისტემას სთავაზობს მას.

3) და ბოლოს, სამოქალაქო ასოციაცია Kohovolit.eu, რომელიც ამ სფეროში 2006 წლიდან საქმიანობს და მომხმარებელს სთავაზობს ხმების გამოთვლის აპლიკაციის როგორც ჩეხურ, ისე სლოვაკურ ვერსიებს. ამ აპლიკაციის ყველაზე ძლიერ მხარედ მონაცემთა ჟურნალისტიკასთან მისი კავშირი გვევლინება. მას აქვს სხვადასხვა სახის გრაფიკებისა და კარტოგრამების შექმნის საშუალება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც არჩევნებს უკავშირდება; შეუძლია არჩევნების ანალიზის განხორციელება; უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ იგი ამ სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს შორის მე-4 ადგილს იკავებს. ამ აპლიკაციაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია „inventura hlasování“ ასპექტზე, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკოსთა საქმიანობის ხილვადობას და საშუალებას აძლევს ამომრჩევლებს, აკონტროლონ, რამდენად ასრულებენ პარლამენტში მოხვედრილი პოლიტიკოსები თავიანთ დაპირებებს. აპლიკაცია ერთმანეთთან აკავშირებს პარლამენტის ყველა წევრის მიერ ადრე განხილულ საკითხებზე მიცემულ ხმებს. იგი საარჩევნო ხმების გამომთვლელი აპლიკაციის მსგავსი პრინციპით მოქმედებს - პირი პასუხობს შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, რამდენად ეთანხმება იგი ამა თუ იმ პოზიციას და შემდეგ ხდება ამ პასუხის შედარება პარლამენტარის მიერ რეალურად მიცემულ ხმასთან.

ასოციაციის Kohovolit.eu კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ მას ჩეხეთის რესპუბლიკაში VAA-ს გამოყენების ხანგრძლივი და წარმატებული ისტორია აქვს და, შესაბამისად, სიღრმისეულად იცნობს მეთოდოლოგიას.²³ ის მზად არის გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობისთვის. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის ვებგვერდიდან და, ამდენად, მისი საქმიანობის გამჭვირვალობა სრულადაა უზრუნველყოფილი.

22 <https://euandi2019.eu/CZ/default/CES/pages/o-kalkulacce>

23 <https://docs.google.com/document/d/1JRCRWKQKCHnTCPfzSeeHsSAdEkHMga-vwpppYThA1j4/pub>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან დიდ წარმატებას მიაღწია 2013 წელს, როცა 1 000 000-ზე მეტმა ჩეხმა ამომრჩეველმა გამოიყენა VAA (ეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 20%)²⁴. არსებობის მანძილზე მან 30-ზე მეტი საარჩევნო ხმების გამომთვლელი აპლიკაცია შექმნა, ზოგი სახელმწიფო, ზოგი კი რეგიონული არჩევნების დონეზე გამოყენების მიზნით.

6. რეკომენდაციები

პარტიული სისტემის ევოლუციის მოკლე მიმოხილვის და არჩევნების პროცესში საზოგადოების მეტი ჩართულობის ხელშეწყობის გზების, მათ შორის საარჩევნო რჩევების აპლიკაციების გამოყენების, განხილვის შემდეგ საჭიროა რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ეს რეკომენდაციები ასევე ეფუძნება 2019 წლის 24-25 ნოემბერს ქუთაისში გამართულ ვორკშოპზე განხილულ საკითხებს და პრეზენტაციებს, რომლებიც მონაწილე ქვეყნების გამოცდილებას ასახავდა.

ამ გამოცდილების და ვორკშოპის შედეგების გათვალისწინებით და VAA Kohovolit.eu წარმომადგენელთან პირადი ინტერვიუს მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. შეკითხვების შემუშავებისას ითანამშრომლეთ ექსპერტთა ფართო წრესთან, იქნება ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, საკანონმდებლო/იურიდიულ/პოლიტოლოგიურ/პოლიტიკურ/სამეცნიერო/სოციოლოგიურ სფეროებთან დაკავშირებული პროფესიული ასოციაციები თუ სამოქალაქო საზოგადოება. მიეცით მათ საშუალება, შემოგთავაზონ შეკითხვები, რომელთა დასმაც საჭიროდ მიაჩნიათ. ამასთან, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ საბოლოო პროდუქტის შექმნა თქვენი პასუხისმგებლობაა და ამდენად, თქვენ წყვეტთ, რომელ შეკითხვებზე შეჩერდება არჩევანი.
2. შექმენით კითხვების საჭიროზე გრძელი სია - შეკითხვების ნაწილს ვერ გამოიყენებთ (ნაწილს პასუხს არ გასცემენ, ხოლო ზოგს თქვენვე მიიჩნევთ არასათანადოდ).
3. შეეცადეთ, თხოვთ პარტიებს, დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია და რატომ აირჩიეს პასუხი - კი/არა.
4. დაარწმუნეთ პარტიები, რომ VAA სისტემაში ჩართვა მათივე ინტერესებში შედის. სხვაგვარად, ვებგვერდზე აისახება, რომ მათ არ შეავსეს კითხვარი და ამდენად, პოტენციური ამომრჩეველი ვერ ნახავს მათ მონაცემებს.

24 <http://kohovolit.eu/cs/>

5. შეეცადეთ, ამომრჩეველთა შესახებ თქვენი ცოდნის გათვალისწინებით თავდაპირველად თავად გაიაზროთ, რა პოტენციური ეთიკური პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეთ. შემუშავეთ საერთო მიდგომა და შემდეგ დააფიქსირეთ ეს საჯაროდ (გახადეთ გამჭვირვალე).
6. შემდგომი ნაბიჯების შემუშავების და VAA-ს პოპულარიზაციის მიზნით გამოიყენეთ ექსპერტთა არსებული ქსელები, რაც მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფესიულ ორგანიზაციებს, ისევე როგორც ელექტრონულ მედიას (ან ბეჭდური მედიის ელექტრონულ ვერსიებს); შესთავაზეთ მათ მათივე საჭიროებებზე მორგებული VAA ვერსიის გამოყენება ან დააკავშირეთ თქვენს ვებგვერდებთან.
7. გაითვალისწინეთ, რომ VAA მომხმარებლების შერჩევითი ერთობლიობა არ იქნება წარმომადგენლობითი, მაგრამ გამოიყენეთ წინასწარი შედეგები. ჩვეულებრივ, სპეციალური მედია წყაროების ვებგვერდებზე მორგებული VAA-ს გამოყენება საშუალებას გაძლევთ თქვით, რომ აპლიკაციის მომხმარებლების მახასიათებლები ემთხვევა მათი მკითხველებისას. ეს თქვენკენ მოიზიდავს სხვა მედიასაშუალებებსაც და გაზრდის VAA-ს მიმართ ყურადღებას.

7. ბიბლიოგრაფია

Adamusová, Marcela a kol. Politická angažovanost žen v České republice.

Boček, Jan a Jan Pospíšil. 2017. Interaktivní kandidátky: seřadte si strany podle vzdělání, věku nebo podílu žen. Zdroj: <https://www.irozhlas.cz/volby/interaktivni-kandidatky-seradte-si-strany-podle-vzdelani-veku-nebo-podilu-zen-1709191033-jab>

Cabada, Ladislav. 2016. Český stranický systém v roce 2016: personalizační tendence, populismus a anti-politické přístupy. In: POLITICS IN CENTRAL EUROPE 12 (2016) 2S. P: 67-76.

Červenka, Jan. 2011. Stranický systém v restrukturalizaci? Volby 2010 v kontextu percepce politiky a politických stran českou veřejností. Naše společnost 9 (2): 44-59.

Fiala, Petr, Mareš, Miroslav, Pšeja, Pavel. 2000. Systém politických stran v letech 1918 - 1998. In: Marek, Pavel a kol. (eds.): Přehled politického stranictví na území českých zemí a Československa v letech 1861-1998. Gloria: Rosice u Brna

Vladimír Hanáček. 2010. Typologie českého stranického systému po roce 1989. <http://www.e-polis.cz/clanek/typologie-ceskeho-stranickeho-systemu-po-roce-1989.html>

Havel, Václav. 2006. Prosím stručně. Gallery, Praha.

Havelková, Hana. 2006. Jako v loterii. Politická reprezentace žen v ČR po roce 1989. In:

Hašková, Hana, Křížková, Alena a Linková, Marcela (eds.). Mnohohlasem. Sociologický ústav Akademie věd: Praha. 25-42.

Linek, Lukáš. Volební systém, stranický systém a parlament. In: Pšeja, Pavel (ed.). Stranický systém České republiky. Politické strany a jejich vývoj 1989-1998.

Marek, Jakub. 2006. Vývoj československých a českých politických stran po roce 1989 – Diplomová práce. S. 29 <https://is.muni.cz/th/idxin/Diplomova-prace.pdf>

Rakušanová, Petra a Lenka Václavíková Helšusová. 2006. Ženy v mužské politice. In: Hašková, Hana, Křížková, Alena a Linková, Marcela (eds.). Mnohohlasem. Sociologický ústav Akademie věd: Praha. 43-60. P. 44

E-sources:

<https://docs.google.com/document/d/1JRRCRWKQKCHnTCPfzSeeHsSAdEkHMga-vwpppYThA1j4/pub>

<https://euandi2019.eu/CZ/>

<http://kohovolit.eu/cs/>

პოლონეთი

საარჩევნო სისტემა და
პარტიული სისტემის
ევოლუცია 1989 წლის
შემდგომი პერიოდის
პოლონეთში

კატარჟინა ზელინსკა
პროფ. დოქტორი ჰაბილიტუსი,
სოციოლოგიის ინსტიტუტი,
იაგელონის უნივერსიტეტი,
ფონდი „ჩანაწერები პოლონეთიდან“

1989 წლის შემდგომ პოსტკომუნისტური დემოკრატიული რეფორმების შედეგად პოლონეთში შეიქმნა ორპალატიანი პარლამენტი. პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და საკანონმდებლო საქმიანობის მთავარი პრეროგატივა და ძალაუფლება მინიჭებული აქვს სეიმს (ქვედა პალატა), ხოლო სენატი (ზედა პალატა) ამტკიცებს, ცვლილებები შეაქვს, ან აუქმებს სეიმის მიერ მიღებულ კანონებს. მას აგრეთვე აქვს საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივების უფლება. აღმასრულებელი ძალაუფლება მთავრობის ხელშია, რომელიც დაკომპლექტებულია არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ან კოალიციის მიერ. პრემიერ-მინისტრს ირჩევს პრეზიდენტი და ამტკიცებს სეიმი.

ამ ორი პალატის კანდიდატების არჩევისას მოქმედებს სხვადასხვა საარჩევნო სისტემა. სეიმის არჩევნების შემთხვევაში ტარდება პროპორციული სისტემის არჩევნები პარტიული სიებით. ეს ნიშნავს, რომ ამომრჩევლები ხმას აძლევენ კანდიდატთა სიას, რომელიც შედგენილია პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური პარტიების კოალიციის ან ამომრჩეველთა ჯგუფის საარჩევნო კომიტეტების მიერ. სეიმში შესასვლელად პარტიებისათვის დაწესებულია 5%-იანი, ხოლო კოალიციებისათვის კი 8%-იანი ბარიერი. სეიმში სულ 460 ადგილია და ამ ადგილების განაწილება ხდება დ'ჰონდტის მეთოდით იმ სუბიექტებზე, რომლებმაც გადალახეს ბარიერი (პრიორიტეტი მიენიჭება დიდ პარტიებს) (Jaskiernia, 2017, 230). სენატში არჩევნები ხდება მაჟორიტარული სისტემით, შესაბამისად, მოცემული საარჩევნო ოლქიდან გადის ერთი გამარჯვებული კანდიდატი. სენატში 100 ადგილია.

გენდერული თანასწორობის კუთხით პროპორციული სისტემა მეტადაა ორიენტირებული ქალებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მოქმედებს გენდერული კვოტები. სწორედ ასეა პოლონეთში, სადაც 2011 წლიდან ძალაშია კვოტირების სისტემა საარჩევნო სიებთან მიმართებით. შედეგად, თითოეული სქესის წარმომადგენლები უნდა შეადგენდნენ ყველა საარჩევნო სიის არანაკლებ 35%-ს. გენდერული კვოტების შემოღებამ განაპირობა საარჩევნო სიებში ქალი კანდიდატების რაოდენობის მატება და შედეგად - არჩეული ქალი პარლამენტარების რაოდენობის სტაბილური ზრდა (23% - 2011-2015 წლების, 27% - 2015-2019 წლების და 28,47% - 2019 წლის პარლამენტში).¹ სენატი, რომლის არჩევაც მაჟორიტარული სისტემით ხდება, გასულ წლებში გაცილებით ნაკლები რაოდენობის ქალი სენატორებით იყო დაკომპლექტებული (2015 წელს ეს რიცხვი 13%-ს შეადგენდა), თუმცა 2019 წელს ეს მაჩვენებელიც 24%-მდე გაიზარდა. ეს შეიძლება მიუთითებდეს სოციუმის დამოკიდებულების ცვლილებაზე ქალი კანდიდატების მიმართ, აგრეთვე ქალთა დაინტერესების ზრდაზე,

1 მკვლევარები მიუთითებენ, რომ, მიუხედავად კანდიდატების რაოდენობის ზრდისა, არჩეულ ქალთა რაოდენობის ზრდა არ იყო სათანადოდ მკვეთრი. ამის გამო ჩატარდა სხვა კვლევები იმის დასადგენად, თუ როგორ ხდება გენდერული კვოტების ეფექტურობის მოდიფიცირება ინსტიტუციების და პოლიტიკური პარტიების პრიორიტეტების მიხედვით (Gwiazda, 2017 წ.)

მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პარტიებში და ოფიციალურად ჩაერთონ პოლიტიკაში (Zielińska, 2018).

პარტიულმა სისტემამ პოლონეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 1989 წლის შემდგომ. თავდაპირველად ის მეტად დანაწევრებული იყო. ურთიერთგამყოფი ზღვარი უმეტესწილად ისტორიულ ასპექტებთან იყო დაკავშირებული. პოსტკომუნისტურ პარტიებს უფრო პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდათ კომუნისტური წარსულის მიმართ, მათთვის ახლო იყო ლიბერალური სოციალური ღირებულებები და სეკულარიზმი და ეწინააღმდეგებოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის ჩართულობას. მეორე მხრივ, სოლიდარობის მოძრაობის მემკვიდრე პარტიები მკვეთრი ანტიკომუნისტური განწყობებით გამოირჩეოდნენ, მხარს უჭერდნენ სოლიდარობის მოძრაობას, კონსერვატიულ სოციალურ მიდგომებს და კათოლიკური ეკლესიის ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში (Grabowska, 2004, 272-73). 2000-იანი წლების შუიდან შეიმჩნევა, რომ პოლიტიკურ პარტიებს შორის გამყოფი ხაზი სოლიდარობასა და სოციალური მიდგომების ლიბერალურთან დაპირისპირებაზე გადის. პირველი მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია კანონისა და სამართლიანობის პარტია, რომელიც ხელისუფლებაში იყო 2015-2019 წლებში და 2019 წლის არჩევნების შედეგადაც. სამოქალაქო პლატფორმა, რომელიც მმართველ ძალას წარმოადგენდა 2007-2015 წლებში, ხოლო მას შემდეგ კი მთავარი ოპოზიციური პარტიაა, შეიძლება განვიხილოთ როგორც მეორე პოლიტიკური პლატფორმის წარმომადგენელი (Markowski 2006; Szczerbiak 2007; Gwiazda 2015, 8).

სანდოობა, წარმომადგენლობითობა და ამომრჩეველთა აქტივობა პოლონეთში

როგორც კვლევები უჩვენებს, პოლიტიკოსების მიმართ ნდობა დაკავშირებულია პოლიტიკურ ჩართულობასთან. იგი ხელს უწყობს ამომრჩეველთა აქტივობასაც, რადგან ის ამომრჩეველები, რომლებიც არ ენდობიან პოლიტიკურ პარტიებს, ნაკლებად მონაწილეობენ არჩევნებში. თუმცა პოლიტიკოსების მიმართ უნდობლობამ შეიძლება გამოიწვიოს არჩევნებისას პოპულიზმის აღმავლობა (Hooghe and Marien, 2013) ან არაინსტიტუციური პოლიტიკური ჯგუფების მობილიზება (Hooghe, 2018 წ.). პოლონეთში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა 1989 წლის შემდეგ დაბალ დონეზე რჩება. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით პოლონელთა უმრავლესობა არ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს (2001 წელს - 65%, 2010 წ. 76% და 2016 წ. 65%) (CBOS), იშვიათად მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში და პარტიების საქმიანობა დესტრუქციულადაც კი მიაჩნია (Sobolewska-Mysłik 2017, 127; Paczeński and Winławska 2017, 8). ამის შედეგად საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობა დაბალია (1989-2011 წლებში, 1989 წლის ნახევრად თავისუფალი არჩევნების ჩათვლით, ამომრჩეველთა საშუალო აქტიურობა 49,46%-ია) (Gwiazda 2015, 73) და ამ თვალსაზრისით, პოლონეთს ცენტრალური და

აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებთან შედარებით გაცილებით უარესი მაჩვენებელი აქვს (Gwiazda 2015, 73; Musiał-Karg 2011, 82). ამომრჩეველთა ასეთი დაბალი აქტივობა აიხსნება, ერთი მხრივ, ამომრჩეველთა პოლიტიკური სიმპათიების არასტაბილურობით, მაგრამ ასევე პოლიტიკური პარტიების მხრიდან პოლიტიკური პლატფორმის მუდმივი ცვლილებით, რომლის ერთგულნი ხელისუფლებაში ყოფნისას მხოლოდ მცირე დოზით რჩებიან (Markowski 2007, 46.) ბოლო წლებში შეიმჩნევა საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა (50,92% 2015 წლის, ხოლო 61,74% 2019 წლის არჩევნებში).² მკვლევარები აღნიშნავენ პოლონეთში პოლიტიკური სიმპათიების და პარტიული სისტემის გარკვეულ დასტაბილურებას (Markowski and Stanley 2016).

აღნიშნული თემა უკავშირდება უფრო ზოგად საკითხს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობითობის შესახებ. პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული სისტემის ქვაკუთხედად მიიჩნევა, რომელთა არსებობა უმნიშვნელოვანესია წარმომადგენლობითობის ფუნქციის უზრუნველსაყოფად და წარმომადგენლობითი პარლამენტის არსებობისათვის (Gwiazda 2015, 69; Szymanek 2015, 38). წარმომადგენლობითობა განიხილება დესკრიფციულ და სუბსტანციურ ჭრილში. ეს უკანასკნელი გულისხმობს, თუ ვინ არიან წარმომადგენლები და იგი მეტწილად სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. პირველის ინტერესის საგანი კი არის, თუ რას საქმიანობენ წარმომადგენლები და ვის ინტერესს ატარებენ ისინი (Celis and Childs 2008). დესკრიფციული წარმომადგენლობითობის თვალსაზრისით პოლონეთში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ მეინსტრიმული პარტიები დროთა განმავლობაში მეტად ახერხებენ წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფას, მაშინ როცა ვიწრო ინტერესების გამომხატველი პარტიები (ქალთა ან უმცირესობათა ჯგუფების პარტიები) უფრო წარუმატებელი არიან (Gwiazda 2015, 69). მიიჩნევა, რომ პოლონეთის პარლამენტში სათანადოდაა უზრუნველყოფილი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლობითობა, თუმცა იგი არაა ამ სოციალური ჯგუფების პროპორციული. კვლევა ცხადყოფს, რომ ფაქტობრივად დროთა განმავლობაში წარმომადგენლობითობა „უფრო ელიტური გახდა განათლებისა და პროფესიული კუთხით“, თუმცა ამავდროულად გაზრდილია ქალთა და უმცირესობათა დესკრიფციული წარმომადგენლობითობა (Gwiazda 2015, 68). გაცილებით ძნელია ჩვენვდეთ სუბსტანციურ წარმომადგენლობითობას. აღნიშნულ საკითხში გარკვეული სიცხადე შეიტანა საზოგადოებრივი აზრის კვლევებმა, რომლებმაც აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ჯგუფები დისტანცირებას ახდენენ პოლიტიკური პარტიებისაგან, ან მიიჩნევენ, რომ მათი ინტერესების წარმომადგენლობა არ არის უზრუნველყოფილი არსებული პარტიების მიერ (50% – 2008 წ. ივნისში, 56% – 2013 წ. იანვარში, 45% - 2019 წ. თებერვალში) (Pankowski 2019, 2). ამავდროულად, გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური პროცესებიდან განსაკუთრებით დისტანცირებულნი არიან ქალები (2019 წ. მათი 53% არ ახდენდა თავისი თავის იდენტიფიცირებას რომელიმე პარტიასთან) და ახალგაზრდები (2019 წ. მონაცემებით, 18–დან 25 წლამდე ასაკის ადამიანების 65% არ

2 მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.idea.int/data-tools/country-view/242/40>.

გრძნობდა სიახლოვეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან). ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს ჯგუფები არ მიიჩნევენ, რომ მათი წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია და მათ არ იზიდავთ პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი პროგრამები. ახალგაზრდების პასიურობისა და პოლიტიკით მათი დაუინტერესებლობის ასახსნელად რამდენიმე არგუმენტი მოჰყავთ. უპირველეს ყოვლისა, ბოლო წლების განმავლობაში პოლონეთის ახალგაზრდობაში მყარად მოიკიდა ფეხი უკიდურესმა ინდივიდუალიზმმა, მათ აკლიათ პოლიტიკური განათლება და პოლიტიკური კულტურა. მეორეც, ახალგაზრდები იმედგაცრუებულნი არიან არსებული პოლიტიკური პარტიებით, რომლებიც მათ არ სთავაზობენ მიმზიდველ არჩევანს. ამიტომაც, მათგან მოსალოდნელია, რომ ხმა მისცენ ახალ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მათ ახალ „პროდუქტს“ შესთავაზებენ და არსებულ პოლიტიკურ წესრიგს დაარღვევენ (Messyasz 2015, 77).

პოლონეთის სინამდვილეში გენდერული საკითხები არასოდეს ყოფილა წამყვან პოზიციებზე პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში, თუმცა, ტრადიციულად, მემარცხენე მიმდინარეობის პარტიები ყოველთვის მეტად უჭერდნენ მხარს ქალთა უფლებებს (მაგ., რეპროდუქციულ უფლებებს, გენდერულ თანასწორობას). ბოლო წლებში ამ საკითხებმა გარკვეული მხარდაჭერა მიიღო მემარჯვენე-ცენტრისტული სამოქალაქო პლატფორმის მხრიდანაც. ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამ პარტიამ მიიღო გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი კანონმდებლობა და გაატარა ქალებზე ორიენტირებული პოლიტიკა (მაგ., ახორციელებდა ბაგა-ბაღების, სკოლამდელი დანესებულებების მშენებლობას და ქალთა და ბავშვთა ხელშეწყობის სისტემების დამკვიდრებას), რაც თანხვედრაში იყო ნეოლიბერალურ დღის წესრიგთან სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ურთიერთშეხამების შესახებ. ისინი ატარებდნენ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული ძალადობის პრევენციას, ასევე ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურების სუბსიდირებას. თუმცა ამასთან, სამოქალაქო პლატფორმა ეწინააღმდეგებოდა აბორტის შემზღუდავი არსებული კანონმდებლობის ლიბერალიზაციის შესახებ მოთხოვნებს. მემარჯვენე პარტიებს, როგორც წესი, კონსერვატიული დღის წესრიგი აქვთ და ნაკლებ ინიციატივას იჩენენ ქალთა უფლებების მიმართ. ისინი „ტრადიციული ოჯახის“ ღირებულებებს აღიარებენ, შესაბამისად, მათთვის ქალის როლი უპირველესად დედის ფუნქციით განისაზღვრება. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მმართველი „კანონისა და სამართლიანობის“ პარტიის მიდგომებში. ისინი ემხრობიან პოლონეთში ლეგალური აბორტის ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო მეტ შეზღუდვას³ (Zielińska 2018).

განხორციელებული კვლევები ასევე ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ პარტიებში თვალ-

3 1993 წლის შემდეგ პოლონეთში ლეგალური აბორტი დასაშვებია მხოლოდ სამ შემთხვევაში: თუკი ორსულობა საფრთხეს უქმნის ორსული ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; როდესაც სამედიცინო და მშობლების ანალიზები ადასტურებენ, რომ არსებობს მაღალი ალბათობა სერიოზული და შეუქცევადი ჩანასახოვანი დეფექტებისა ან განუკურნებელი დაავადებებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჩანასახის სიცოცხლეს; და როდესაც ორსულობა სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგია. კანონის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://prawo.sejm.gov.pl/isap.nsf/download.xsp/WDU19930170078/U/D19930078Lj.pdf>.

შისაცემია დემოკრატიულობის დეფიციტი. ისინი ცენტრალური და საჯარო ოფისების პარტიული ელიტების ზეგავლენას განიცდიან. პარტიული პროფილისა და მისი საქმიანობის მიმართულების განსაზღვრა მთლიანად პარტიული ელიტის ხელშია, რომლის მიზანია, მოიგოს არჩევნები და მოვიდეს ხელისუფლებაში. სუსტადაა განვითარებული ის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემდა რიგით წევრებს, ნათლად გამოეხატათ თავიანთი პოზიცია და მოსაზრებები. ამან გამოიწვია პარტიების დაშორება თავიანთი რიგითი წევრებიდან და მათი გარდაქმნა ხელმძღვანელობის მიერ კონტროლირებად პარტიებად (Chmaja, Waszak, and Zbieranek 2011, 112).

საარჩევნო რჩევების აპლიკაციები პოლონეთში

საარჩევნო რჩევების აპლიკაციები (VAA) სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ბევრ ქვეყანაში. ერთი მხრივ, ინტერნეტის ფართო ხელმისაწვდომობამ და, მეორე მხრივ, დასავლურ საზოგადოებაში ტრადიციული სოციალურ-ეკონომიკური დაყოფის აღრევამ ხელი შეუწყო მათი პოპულარობის ზრდას (Lorenz 2019). ამგვარი აპლიკაციების მიზანია, დაეხმაროს ამომრჩევლებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ აპლიკაციების მოქმედება ემყარება იმ დაშვებას, რომ ხმის მიცემას განაპირობებს ამომრჩევლისა და კანდიდატის შეხედულებებისა და მოსაზრებების თანხვედრა. ამდენად, მისი მიზანია ამომრჩეველს მიანოდოს ამგვარი ინფორმაცია (Witkowski 2018, 16).

საარჩევნო რჩევების აპლიკაციები პოლონეთში ათ წელზე მეტი ხნის წინ გამოჩნდა და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ამგვარი აპლიკაციები სხვადასხვა დონის არჩევნებისთვისაც შეიქმნა, მათ შორის, ადგილობრივი, საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ევროპარლამენტის არჩევნებისათვის. მათ სხვადასხვა ორგანიზაცია და სამეცნიერო ცენტრი ქმნის, რომლებიც ამისათვის სხვადასხვა მეთოდოლოგიას იყენებენ (Gagatek 2018, 8). მათგან ყველაზე ადრინდელია “LatarnikWyborczy”, რომელიც შექმნა სამოქალაქო განათლების ცენტრმა (Centrum Edukacji Obywatelskiej) და იგი ამომრჩეველს სთავაზობს აპლიკაციებს ყველა ტიპის არჩევნებისათვის (<https://latarnikwyborczy.pl/>). ისინი ინფორმაციას აგროვებენ (ინტერვიუების საშუალებით) და რეგისტრირებული პარტიების საარჩევნო კომიტეტებისაგან და ამ ინფორმაციის საფუძველზე აგებენ აპლიკაციას. აპლიკაციის მომხმარებლების პასუხებს ადარებენ საარჩევნო კომიტეტებიდან მიღებულ ინფორმაციას. თუკი კომიტეტები არ წარმოადგენენ ინფორმაციას, პარტიის პროფილის აგება ხდება მისი პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე, რომელსაც ანალიზებს Latarnik.pl-ზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი. კიდევ ერთი ამგვარი საინტერესო ინიციატივაა პროექტი „კანდიდატები“, რომელსაც ახორციელებს ასოციაცია 61 (<https://mamprawowiedziec.pl/o-nasNętab-pills-archive>). ყოველი არჩევნების წინ ისინი ატარებენ კანდიდატთა გამოკითხვას, რათა შეისწავლონ

მათი ხედვები და მოგვიანებით ადარებენ, რამდენად თანხვედრაშია მათ მიერ გაცხადებული ხედვები იმ რეალურ საქმიანობასთან, რასაც ისინი ახორციელებენ ხელისუფლებაში ყოფნისას. ამგვარად, ეს პროექტი სცილდება ჩვეულებრივი აპლიკაციის ფუნქციებს და მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს, არა მხოლოდ გაარკვიოს, თუ რამდენად ახლოა მისი შეხედულებები კანდიდატების შეხედულებებთან, არამედ იგი აგრეთვე ხელს უწყობს, რომ კანდიდატი ანგარიშვალდებული გახდეს ამომრჩევლის წინაშე. სხვა ტიპის აპლიკაციები მხოლოდ ერთ რომელიმე არჩევნებზეა მორგებული (ევროპარლამენტის არჩევნების პანევროპული აპლიკაციების “EU Vox” და “euandi” პოლონური ვერსია, აგრეთვე პოლონეთში შექმნილი აპლიკაცია My-Candidate.eu და Barometer wyborczy 2014 ადგილობრივი არჩევნებისათვის) (Gagatek 2018, 8; Agnieszka Hess, Kasprowicz, and Słupek 2018).

კიდევ ერთი საინტერესო პროექტია eco-VAA, რომელიც შექმნა ორგანიზაციამ “ekopatrioci” (ეკოპატრიოტები).⁴ მისი მიზანია, დაეხმაროს ამომრჩევლებს ისეთი პარტიის მოძებნაში, რომელთა ხედვები ემთხვევა მათ ხედვებს გარემოსა და ეკოლოგიასთან მიმართებით.

საარჩევნო რჩევების აპლიკაციების პოპულარობა პოლონეთში არცთუ ისე მაღალია (2005 წლიდან 2019 წ. მაისამდე LatarnikWyborczy გამოიყენა 4,5 მილიონმა ადამიანმა)⁵, თუმცა იგი მზარდია.

პოლონეთში საარჩევნო რჩევების აპლიკაციების ზეგავლენის და მისი რელევანტურობის შეფასება არაერთგვაროვანია. ჩატარებული კვლევები არ იძლევა ცალსახა პასუხს ამ კითხვებზე, თუმცა მიუთითებს მათ გარკვეულ პოტენციურ სარგებელზე. საარჩევნო რჩევების აპლიკაციებს შეიძლება გააჩნდეს საგანმანათლებლო მნიშვნელობა, რაც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, მიიღონ ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების და კანდიდატების შესახებ მინიმალური დანახარჯებითა და ძალისხმევით (თუმცა ზედმეტი გამარტივების ხარჯზე) (Mayer and Wassermair 2010). ამავდროულად, ამ საგანმანათლებლო ელემენტს შეუძლია შეამციროს „არაინფორმირებულობის“ და არჩევნებში არმონაწილეობის ეფექტი და, შესაბამისად, გაზარდოს პოლიტიკაში მოქალაქეთა ჩართულობა (მაგ., არჩევნებში მონაწილეობა) (Dziewulska 2010).

პოლონეთის სინამდვილეში არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც შეაფასებდა საარჩევნო რჩევების აპლიკაციების ზეგავლენას. ერთი ასეთი მცდელობა ჰქონდა Latarnik.pl, რომელმაც 2014 წელს გამოაქვეყნა თავის მომხმარებლებს შორის 2014 წლის გამოკითხვის შედეგები, რათა შეეფასებინა აპლიკაციის ზეგავლენა. მიღებული შედეგები არასრულია და არაა წარმომადგენლობითი, თუმცა იძლევა გარკვეულ ინფორმაციას

4 <https://ekopatrioci.pl/nawigator-wyborczy/>.

5 <https://www.rmf24.pl/raporty/raport-wybory-do-parlamentu-europejskiego/fakty/news-wystartowal-latarnik-wyborczy-ale-bez-koalicji-europejskiej,nld,2981309>.

მომხმარებლებზე ამ აპლიკაციების ზეგავლენის შესახებ.⁶ შედეგებმა აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმეტესობამ აპლიკაციის გამოყენებამდე იცოდა, თუ ვისთვის მიეცა ხმა (63,3%), ხოლო დაახლოებით 20,5%-მა არ იცოდა და 16,2%-მა მეტწილად არ იცოდა, ვისთვის მიეცა ხმა. ეს ინსტრუმენტი განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა იმათთვის, ვისაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ ვისთვის მიეცა ხმა, თუმცა არცთუ ისე სასარგებლო იყო მათთვის, ვისაც ამგვარი გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

პოლონეთის გამოცდილება, როგორც პოტენციური გზამკვლევი საქართველოსათვის

მკვლევარები და ანალიტიკოსები პოლონეთის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მიუთითებენ საარჩევნო რჩევების აპლიკაციების პოტენციურ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. შესაძლოა, ის ერთგვარი გზამკვლევი აღმოჩნდეს იმათთვის, ვინც დააპირებს მსგავსი ინსტრუმენტის შექმნას საქართველოში.

საარჩევნო რჩევების აპლიკაციების უპირატესობა და პოტენციური შემდეგში მდგომარეობს:

1. ინფორმაციის კომპაქტური სახით წარმოდგენა

მაშინ, როდესაც პარტიების პოლიტიკური სისტემები და გზავნილები უფრო და უფრო რთული და კომპლექსური ხდება, ამომრჩევლისათვის რთულია, იპოვოს პარტია ან კანდიდატი, რომელიც მისთვის მისაღებ შეხედულებებს იზიარებს. ინფორმაციის კომპაქტური და გასაგები სახით წარმოდგენა, რასაც გვთავაზობს ეს აპლიკაციები, ეხმარება ამომრჩეველს გადაწყვეტილების მიღებაში (Matynia 2018, 235), მაშინაც კი, როდესაც ეს ხდება პოლიტიკური პარტიების პლატფორმების ზედმეტად გამარტივების ხარჯზე. ამან გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება ხელი შეუწყოს ამომრჩეველთა აქტიურობის ზრდას და აამაღლოს პოლიტიკური განათლების დონე მოსახლეობაში.

2. საარჩევნო რჩევების აპლიკაციების სპეციალიზაცია

ისეთი სპეციალიზებული აპლიკაციების შექმნა, რომლებიც ერთ საკითხზე არიან კონცენტრირებული (მაგ. გარემოს დაცვა, ქალთა უფლებები), შეიძლება ამ თემებით დაინტერესებულ ამომრჩევლებს დაეხმაროს, ერთმანეთს შეადაროს ამ საკითხებზე თითოეული პარტიის პოზიცია და შედეგად შეარჩიოს ისეთი პარტია, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მის შეხედულებებს. კარგ მაგალითად გამოდგება ზემოთ აღნიშნული აპლიკაცია “ekopatrioci”. იგი პოტენციურად ვიწრო მასშტაბისაა, რადგან მისი სამიზნე ადამიანთა კონკრეტული ჯგუფია, თუმცა

⁶ გამოკითხვა ჩატარდა ყოველ მეათე მომხმარებელზე.

ამავდროულად იგი შეიძლება დაგვეხმაროს, ავირჩიოთ ის პოლიტიკური პარტია, რომელიც გააძლიერებს ამ საკითხთა სუბსტანციურ წარმომადგენლობას პოლიტიკურ გარემოში.

3. კოალიციების შექმნა

აპლიკაციები გამოიყენება იმისათვის, რათა დავინახოთ, თუ რამდენად შეესაბამება ინდივიდის შეხედულებები ამა თუ იმ პარტიის შეხედულებებს. თუმცა იგი ასევე შეიძლება გამოდგეს პლატფორმად, სადაც მსგავსი პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები შექმნიან კოალიციებს. იგი აგრეთვე შეიძლება დაგვეხმაროს პოლიტიკური იდეების პოპულარიზაციაში.

მკვლევარები ასევე მიუთითებენ რამდენიმე შესაძლო პრობლემაზეც:

1. პარტიების მხრიდან თანამშრომლობა

იმისათვის, რომ პარტიის შესახებ ინფორმაცია ადეკვატურად და სათანადოდ იყოს წარმოდგენილი აპლიკაციაში, მეტად მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიებმა ითანამშრომლონ აპლიკაციების შემქმნელებთან და წარმოუდგინონ მათ ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე თავიანთი პოზიციის შესახებ. წარსულში ზოგმა პარტიამ უგულებელყო ევროპარლამენტის არჩევნების დამხმარე აპლიკაციების მიერ მათთვის გაგზავნილი კითხვარები, ხოლო ზოგს ძალიან დიდი დრო დასჭირდა პასუხების გასაცემად. დროდადრო საარჩევნო კომიტეტები უარს ამბობდნენ პასუხების გაცემაზე, რადგან, მათი აზრით, აპლიკაციები ზედმეტად ამარტივებდნენ რთულ პოლიტიკურ საკითხებს და ჯეროვნად ვერ ასახავდნენ მათ (Witkowski 2018, 27). თანამშრომლობაზე უარის თქმა შეიძლება ასევე იყოს პოლონეთში ამ აპლიკაციათა დაბალი პოპულარობის შედეგი. აპლიკაციები, როგორც ასეთი, პოლიტიკური პარტიების მიერ არ განიხილება როგორც ინფორმაციის მიწოდებისა და ამომრჩეველთა მობილიზაციის მნიშვნელოვანი წყარო (Rozbicka 2018, 211–12). გარდა ამისა, პარტიებმა შეიძლება თავი შეიკავონ ცალსახა პოზიციის დაფიქსირებისაგან, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც პოტენციურად წინააღმდეგობრივია იმ ამომრჩევლებში, რომელთა მოზიდვაც მათ აქვთ განზრახული. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს კანონისა და სამართლიანობის პარტიის უარი 2015 წელს, დაეფიქსირებინა ცალსახა პოზიცია აბორტების კიდევ უფრო შეზღუდვის შესახებ კანონის თაობაზე. ორაზროვანი პასუხების გაცემით პარტია მიზნად ისახავდა, დისტანცირება მოეხდინა უფრო ლიბერალური პარტიებისაგან და შეენარჩუნებინა თავისი კონსერვატიული ამომრჩევლის მიმართ გაცემული დაპირებები, ამავდროულად ცდილობდა, უარყოფითად არ განეწყო უფრო ლიბერალური ამომრჩევლები (Witkowski 2018, 3737). ამგვარი დინამიკა გათვალისწინებული უნდა იყოს აპლიკაციების შედგენისას.

2. პარტიის მიერ წარმოდგენილ „თვითდახასიათებას“ და პარტიის მანიფესტის ანალიზის შედეგად მიღებულ სურათს შორის არსებული შეუსაბამოებები

ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ პარტიის აქტივისტები, რომელთაც აკისრიათ აპლიკაციების შემქმნელებთან თანამშრომლობა, არ ფლობდნენ საკმარის გამოცდილებას, რომ ჩამოეყალიბებინათ, თუ როგორ სახეს იღებს პარტიის პროგრამა მოქმედებაში. კიდევ ერთი სავარაუდო ახსნაა ის, რომ კითხვებს საკმაოდ ზოგადი ხასიათი აქვს და, შესაბამისად, ვერ ხერხდება პარტიებს შორის არსებული განსხვავებების წარმოჩენა (Rozbicka 2018, 112). ამგვარი შეუსაბამოებები განსაკუთრებულად პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს ახლად შექმნილი პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობებისათვის, რომელთა პოლიტიკური პროგრამები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. „euandi“-ს და „Barometrwyborczy“-ს გამოცდილება კარგად ასახავს ამგვარ შემთხვევებს. ახალ-შექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობის „Kukiz“ დახასიათებისას მათ გამოიყენეს სხვადასხვა მეთოდი, რის შედეგადაც ამ აპლიკაციებმა განსხვავებული შედეგები აჩვენა (Witkowski 2018, 36).

3. პოლიტიკურ პარტიათა თანმიმდევრულობა და ანგარიშვალდებულება

ზოგიერთი კვლევა ნათელყოფს იმ პრობლემებს, რაც თან ახლავს საარჩევნო რჩევების აპლიკაციების შექმნას მხოლოდ პარტიებისა და კანდიდატების განცხადებებისა და პროგრამების საფუძველზე, როცა უგულებელყოფილია ამ პარტიების ადრინდელი საქმიანობა. ეს პრობლემა კარგადაა ილუსტრირებული მიხალ შკოპის მიერ, როცა ის ერთმანეთს ადარებს ჩეხეთში არსებული საარჩევნო რჩევების ორ სხვადასხვა აპლიკაციას. მაშინ როდესაც ერთი აპლიკაცია კითხვებს ადგენს იმის მიხედვით, თუ რის გაკეთებას აპირებს პარტია, მეორე აპლიკაცია ემყარება ამა თუ იმ პარტიის მიერ წინა პარლამენტებში ხმის მიცემის ისტორიას, შესაბამისად, ეს ერთგვარი „რეტროსპექტული“ აპლიკაციაა (Škop 2010). ორივე აპლიკაციის ნაკლოვანებათა დასაძლევად კარგი იქნებოდა ორივე ტიპის აპლიკაციის გარკვეული ურთიერთინტეგრაცია. ზემოთ აღწერილი პროექტი „კანდიდატები“, გარკვეულწილად, ამ სტრატეგიას იყენებს.

4. აპლიკაციების მისაწვდომობა და ხილვადობა

მიუხედავად პოლონეთში საარჩევნო რჩევების აპლიკაციის მოხმარებელთა მზარდი რაოდენობისა, მათი პოპულარობა კვლავაც დაბალია, რადგან ხალხმა არ იცის მათი არსებობის შესახებ. იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ერთდროულად ბევრი ამგვარი აპლიკაცია არსებობს, გვიჩვენებს, რომ ეს პრობლემა იქაც დგას (Rozbicka 2018, 111). ამგვარი ინსტრუმენტების არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეიძლება ხელი შეუწყოს მასმედიასთან თანამშრომლობამ.

5. აპლიკაციების ხელმისაწვდომობა

საარჩევნო რჩევების აპლიკაცია ინტერნეტ აპლიკაციაა, რომელიც ფართოდ და თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუმცა ეს შეიძლება მათი გამოყენებისათვის ერთგვარ დაბრკოლებადაც იქცეს. ინტერნეტის გამოყენება ასაკთანაა დაკავშირებული. მაშინ, როცა ახალგაზრდები „ციფრული ტექნოლოგიების თაობადაც“ კი მოიხსენებიან, უფროს თაობას შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნეს ამ აპლიკაციათა გამოყენებისას. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ზოგი სოციალურად დაუცველი და ციფრულ სამყაროს მონყვეტილი ჯგუფის შემთხვევაშიც. სწორედ ეს საკითხები უქმნის დამატებით წინააღმდეგობას საარჩევნო რჩევების აპლიკაციებს თავიანთი საგანმანათლებლო, საინფორმაციო და მობილიზაციის ფუნქციის შესრულებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Celis, Karen, and Sarah Childs. 2008. 'Introduction: The Descriptive and Substantive Representation of Women: New Directions'. *Parliamentary Affairs* 61 (3): 419–25.

<https://doi.org/10.1093/pa/gsn006>.

Chmaja, Marek, Marcin Waszak, and Jarosław Zbieranek. 2011. 'Wnioski'. In *O Demokracji w Polskich Partiach Politycznych*, 110–14. Warszawa: Instytut Spraw Publicznych.

Dziewulska, Agata. 2010. 'The Use of Voter Advice Application in Poland – Glosuje.Com.Pl'. In *Voting Advice Applications in Europe. The State of the Art*, edited by Lorella Cedroni and Diego Garzia, 217–46. Napoli: Scripta Web.

Gagatek, Wojciech. 2018. 'Wstęp'. *E-Politikon, NAWIGATORY WYBORCZE W POLSCE GENEZA – METODY – ZASTOSOWANIE*, XXV: 5–13.

Grabowska, Mirosława. 2004. *Podział Postkomunistyczny. Społeczne Podstawy Polityki w Polsce Po 1989 Roku*. Warszawa: Scholar.

<http://www.ibuk.pl/fiszka/2209/podzial-postkomunistyczny.html>.

Gwiazda, Anna. 2015. *Democracy in Poland: Representation, Participation, Competition and Accountability Since 1989*. Routledge.

Hess, Agnieszka, Dominika Kasprowicz, and Lucyna Słupek. 2018. "Barometr Wyborczy 2014" w Procesie Pozyskiwania Danych Na Temat Lokalnego komunikowania Politycznego'. *E-Politikon, NAWIGATORY WYBORCZE W POLSCE GENEZA – METODY – ZASTOSOWANIE*, XXV: 54–85.

Hooghe, Marc. 2018. 'Trust and Elections'. *The Oxford Handbook of Social and Political Trust*, March.

<https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780190274801.013.17>.

Hooghe, Marc, and Sofie Marien. 2013. 'A Comparative Analysis of the Relation Between Political Trust and Forms of Political Participation in Europe'. *European Societies* 15 (1): 131–52.

<https://doi.org/10.1080/14616696.2012.692807>.

Jaskiernia, Jerzy. 2017. 'The Development of the Polish Party System: A Perspective of the Parliamentary Elections Results'. *Polish Political Science Yearbook* 2 (46).

<http://cejsh.icm.edu.pl/cejsh/element/bwmeta1.element.desklight-5c3898ba-4f56-403e-af84-2b6ace8f4d44>.

Markowski, Radosław. 2006. 'The Polish Elections of 2005: Pure Chaos or a Restructuring of the Party System?' *West European Politics* 29(4): 814–32. <https://doi.org/10.1080/01402380600842452>.

———. 2007. 'Polish Society, Politics and Elections'. *The Analyst - Central and Eastern European Review* 3: 35 – 48.

Markowski, Radosław, and Ben Stanley. 2016. 'Rozłamy socjopolityczne w Polsce: iluzja czy rzeczywistość?' *Studia Socjologiczne*, no. 4(223): 14–40. <http://cejsh.icm.edu.pl/cejsh/element/bwmeta1.element.desklight-d1ba0e2f-0e06-4608-b699-c3ef66b376d8>.

Matynia, Tomasz. 2018. 'Zmiany w Obszarze Zachowań Wyborczych a Powstanie i Funkcjonowanie Nawigatorów Wyborczych'. *E-Politikon, Nawigatory wyborcze w Polsce. Geneza-metody-zastosowanie*, XXV: 223–41.

Mayer, Christine, and Martin Wassermair. 2010. 'Wahlkabine.at: Promoting an Enlightened Understanding of Politics'. In *Voting Advice Applications in Europe. The State of the Art*, edited by Lorella Cedroni and Diego Garzia, 173–86. Napoli: Scripta Web.

Messyasz, Karolina. 2015. 'Postawy Polityczne Młodej Polskiej W Wietle Bada Empirycznych'. *Władza Sądowa* 7 (1).

Musiak-Karg, Magdalena. 2011. 'Metody zwiększania frekwencji wyborczej. Polska a doświadczenia innych państw'. *Środkowoeuropejskie Studia Polityczne*, no. 2.

<https://doi.org/10.14746/ssp.2011.2.05>.

Paczeński, Anna, and Maria Winławska. 2017. 'Czy współczesne partie potrzebują jeszcze członków? Wnioski z badań empirycznych w polskich partiach politycznych'. *Political Preferences*, no. 17: 7–26. <https://doi.org/10.6084/m9.figshare.5708278>.

Pankowski, Krzysztof. 2019. 'Struktura Sceny Politycznej: Partie bliższe i dalsze'. 37. Warszawa: CBOS.

Rozbicka, Patrycja. 2018. 'Nawigatory Wyborcze: Czy Możemy Mówić o Ich Użyteczności w Badaniach Empirycznych?' *E-Politikon, Nawigatory wyborcze w Polsce. Geneza – metody – zastosowanie*, XXV: 203–22.

Škop, Michal. 2010. 'Are the Voting Advice Applications (VAAs) Telling the Truth? Measuring VAAs' Quality. Case Study from the Czech Republic'. In *Voting Advice Applications in Europe. The State of the Art*, edited by Lorella Cedroni and Diego Garzia, 199–216. Napoli: Scripta Web.

Sobolewska-Myślik, Katarzyna. 2017. 'Niepartyjne inicjatywy polityczne jako nowy sposób politycznego zaangażowania obywateli?' *Studia Środkowoeuropejskie i Bałkanistyczne* 2016 (Tom XXIV): 121–32. <https://doi.org/10.4467/2543733XSSB.16.008.6250>.

Szczerbiak, Aleks. 2007. "Social Poland" Defeats "Liberal Poland"? The September–October 2005 Polish Parliamentary and Presidential Elections'. *Journal of Communist Studies and Transition Politics* 23 (2): 203–32. <https://doi.org/10.1080/13523270701317463>.

Szymanek, Jarosław. 2015. 'Rola partii politycznych w redefiniowaniu stosunku przedstawicielskiego'. *Studia Polticae Universitatis Silesiensis* 15.

<http://yadda.icm.edu.pl/yadda/element/bwmeta1.element.ojs-issn-2353-9747-year-2015-volume-15-article-5440>.

Witkowski, Jędrzej. 2018. 'Latarnik Wyborczy'. – *E-Politikon, Nawigatory wyborcze w Polsce. Geneza – metody – zastosowanie*, XXV: 14–53.

Zielińska, Katarzyna. 2018. 'Gender Mainstreaming in Local Decision-Making in Poland'. <https://ruj.uj.edu.pl/xmlui/handle/item/71168>.

სლოვაკეთი

საარჩევნო სისტემა
სლოვაკეთში
(არსებული
მდგომარეობა და
გამოცდილება)

პიტერ ბურანი
მეცნიერებათა დოქტორი (PHD)
ტრნავის უნივერსიტეტი

შესავალი

სლოვაკეთის პოლიტიკური სისტემის ამჟამინდელი სტრუქტურა:

სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი: ზუზანა ჩაპუტოვა

პარლამენტის სპიკერი: ანდრეი დანკო

პრემიერ-მინისტრი: პიტერ პელეგრინი

საპარლამენტო პოლიტიკური პარტიები

კოალიცია: Smer-SD (კურსი - სოციალური დემოკრატია), SNS (სლოვაკეთის ნაციონალური პარტია), Most – Híd (ხიდი) სლოვაკურ-უნგრული პარტია

ოპოზიცია: SaS, OĽaNO – NOVA, ĽSNS, SME RODINA

1989 წლის შემდგომი არჩევნები სლოვაკეთში:

- საპრეზიდენტო არჩევნები: 1993, 1999, 2004, 2009, 2014, 2019
- საპარლამენტო არჩევნები: 1990, 1992, 1994, 1998, 2002, 2006, 2010, 2012, 2016, 2020
- რეგიონალური (თვითმმართველობის) არჩევნები: 2001, 2005, 2009, 2013, 2017
- სათემო არჩევნები: 1990, 1994, 1998, 2002, 2006, 2010, 2014, 2018
- ევროპარლამენტის არჩევნები: 2004, 2009, 2014, 2019

რეფერენდუმები: 1994, 1997, 1998, 2000, 2003, 2004, 2010

(ამათგან მხოლოდ ევროკავშირში შესვლის საკითხზე გამართული 2003 წლის რეფერენდუმი ჩაითვალა ვალიდურად, რადგან მასში მოსახლეობის აქტივობა 50%-ს აჭარბებდა).

საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებით, სლოვაკეთი არის შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი: ევროკავშირი, ნატო, გაერო, CoE (Council of Europe), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), ვიშეგრადის ჯგუფი.

სლოვაკეთის რესპუბლიკა საპარლამენტო დემოკრატიაა, რომელიც სამი ძირითადი შტოსგან შედგება: არჩეული პარლამენტი, დამოუკიდებელი სასამართლო და მთავრობა, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლების როლი აკისრია.

სლოვაკეთის პარლამენტი ერთპალატიანია და შედგება 150 დეპუტატისგან, რომელთაც პირდაპირი წესით ირჩევენ საპარლამენტო არჩევნებისას.

პრეზიდენტის როლი

პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია, ძირითადად, ფორმალურ, წარმომადგენლობით ფუნქციას ასრულებენ, თუმცა ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა პრეზიდენტის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, პოლიტიკური კულტურის და სახელმწიფოში საერთო ატმოსფეროს ჩამოყალიბების თვალსაზრისით. პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი წესით ხდება. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში პრეზიდენტს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია, გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მის ფუნქციებში შედის მოსამართლეების ნომინირება, საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება, პარლამენტის მიერ მიღებული კანონების დამტკიცება. იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი არ დაამტკიცებს ახალ კანონს, იგი ორჯერ უნდა დაუბრუნდეს პარლამენტს შემდგომი განხილვისთვის.

საპრეზიდენტო არჩევნები 2019 წლის მარტში გაიმართა. მოქმედმა პრეზიდენტმა ანრეი კისკამ უარი თქვა მეორე ვადით არჩევნებში მონაწილეობაზე.

15 კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა პირველ ტურში 2019 წლის 16 მარტს. სლოვაკეთის პროგრესული პარტიის წარმომადგენელმა ზუზანა კაპუტოვამ ყველა სხვა კანდიდატს გაუსწრო და ამომრჩეველთა ხმების 40,6% მოაგროვა, მაგრამ საჭირო ზღვრის - ყველა რეგისტრირებული ამომრჩევლის 50%+1 - გადალახვა ვერ შეძლო.

ენერგეტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისიის ვიცე-პრეზიდენტმა მაროშ შევცოვიჩმა, რომელსაც მხარს უჭერდა კურსი - სოციალური დემოკრატია (Smer – SD), ხმათა 18,7% მიიღო.

30 მარტს გამართულ მეორე ტურში ზუზანა კაპუტოვამ გაიმარჯვა 58,4%-ით შევცოვიჩის 41,6%-ის წინააღმდეგ. სწორედ ზუზანა კაპუტოვა არის პირველი ქალი პრეზიდენტი და ამასთან, ყველაზე ახალგაზრდა არჩეულ პრეზიდენტებს შორის. იგი მოსამართლე, ადამიანის უფლებათა და გარემოს დამცველი აქტივისტია, უაღრესად პოპულარულია და გავლენითაც სარგებლობს. მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მან უარი თქვა, ხელი მოეწერა პარლამენტის მიერ შეთავაზებულ კანონპროექტზე, რომელიც წინასაარჩევნო გამოკითხვების შედეგების გამოქვეყნებაზე აკრძალვის ვადის აქამდე მოქმედი 2 კვირიდან 50 დღემდე გაზრდას ითვალისწინებდა. პრეზიდენტმა ამ საკითხში შეძლო წარმატების მიღწევა, 2019 წლის 18 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია მისი არგუმენტები და კანონპროექტი არაკონსტიტუციურად ცნო, რადგან იგი მოქალაქეებს უზღუდავდა ობიექტურ ინფორმაციაზე წვდომას არჩევნების წინა პერიოდში.

საპარლამენტო არჩევნები

საარჩევნო სისტემა განსაზღვრულია სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მუხლით 30/3, კანონი 180/2014.

საპარლამენტო არჩევნები არის საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული. ის ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთ კონკრეტულ დღეს (შაბათს). მოსახლეობა ირჩევს 150 დეპუტატს როგორც პოლიტიკური პარტიების და ერთი საარჩევნო ოლქის (მთელი სლოვაკეთი) წარმომადგენლებს.

პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტში მოსახვედრად კონკრეტულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა მინიმუმ 5% უნდა დააგროვოს. 2-3 პარტიისგან შემდგარი კოალიციის შემთხვევაში ეს ბარიერი 7%, ხოლო 4 და მეტი პარტიის კოალიციის შემთხვევაში 10%-ია.

2006 წელს საარჩევნო კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მსურველმა ყველა პარტიამ 17 000€ ოდენობის თანხა უნდა შეიტანოს. ეს ფინანსური გარანტია მას მხოლოდ 2%-ზე მეტი ოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში დაუბრუნდება.

კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ასევე 2006 წელს შევიდა საარჩევნო კანონში, იყო „აქტიური საარჩევნო უფლების“ დამატება, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მისცა სლოვაკეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფთაც. ამ უკანასკნელთ ხმის მიცემა ფოსტის საშუალებით შეუძლიათ. სლოვაკეთში აქტიური საარჩევნო უფლება ფართო განხილვის საგანია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა მისი განხორციელება ვერ ხდება. ამის ბოლოდროინდელი მაგალითი იყო საპრეზიდენტო და ევროპარლამენტის არჩევნები. საზღვარგარეთ მცხოვრები ან დროებით მყოფი სლოვაკები აპროტესტებენ არსებულ კანონმდებლობას, რომელმაც მათ არ მისცა საპრეზიდენტო და ევროკავშირის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. სავარაუდო ცვლილებებს ამ მიმართულებით მხარს უჭერენ პრეზიდენტი და საპარლამენტო ოპოზიცია.

ევროპის პარლამენტის არჩევნები

ევროპის პარლამენტის არჩევნები სლოვაკეთში 2019 წლის 25 მაისს გაიმართა. საარჩევნო სიაში 31 პარტია შედიოდა. გამარჯვება მოიპოვა ალიანსმა, რომელშიც შედიოდა პროგრესული სლოვაკეთი და ერთად - სამოქალაქო დემოკრატია. პროგრესული სლოვაკეთი ამჟამინდელი პრეზიდენტის, ზუზანა ჩაპუტოვას ყოფილი პარტიაა. ეს პირველი შემთხვევა იყო 2006 წლის შემდეგ, როცა არჩევნებში სამთავრობო პარტია

SMER-ის გარდა სხვა პარტიამ გაიმარჯვა. ეს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებების მნიშვნელოვანი ნიშანია, მეორე პოზიტიური მოვლენა იყო ამომრჩეველთა გაზრდილი რაოდენობა - 1 მილიონზე მეტი. მათი პროცენტული ოდენობა მაინც დაბალია - 22,7%, მაგრამ ეს მაჩვენებელი გაზრდილია წინა მონაცემებთან შედარებით. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდების მონაწილეობა თითქმის ორჯერ გაიზარდა. სლოვაკეთს 14 ადგილი აქვს ახალ ევროპარლამენტში.

მოქალაქეთა საარჩევნო აქტივობის ასამაღლებელი ღონისძიებები

მოქალაქეთა საარჩევნო აქტივობის ასამაღლებლად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც მოსახლეობის დამოკიდებულებას ასახავს. სლოვაკეთში ამჟამად მიმდინარე დებატები განაპირობა, ერთი მხრივ, სამთავრობო პარტიის არგუმენტებმა (ჩატარებული გამოკითხვების შედეგების მანიპულირება ხდება) და, მეორე მხრივ, ოპოზიციის არგუმენტებმა (გამოკითხვების შედეგები საჭიროა, რათა მოხდეს მოსახლეობისთვის მიწოდებული ინფორმაციის კორექტირება). პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად, გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების შეზღუდვის ვადა დარჩება ორი კვირა, რაც შესაბამისობაშია ევროკავშირის ქვეყნებში გავრცელებულ პრაქტიკასთან.

წინასაარჩევნო განწყობების შესწავლას, ძირითადად, შემდეგი ხუთი კვლევითი ორგანიზაცია ახორციელებს: AKO.sk, s.r.o., Polis, s.r.o., MVK, s.r.o., Median.sk, s.r.o., FOCUS, s.r.o.

ყველა მათგანი კერძო პროფესიული ორგანიზაციაა და კვლევის მსგავს მეთოდოლოგიას იყენებს. წინასაარჩევნო პერიოდში ისინი რეგულარულად აქვეყნებენ კვლევის შედეგებს. ადამიანებს შეუძლიათ ეს შედეგები ერთმანეთს შეადარონ. ფართო დისკუსიები მიმდინარეობს მედიაში, მონაცემების წარმომადგენლობითობა და სანდოობა კონტროლდება და საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ყოველთვის დგება შედეგებით მანიპულირების საკითხი. 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული ბოლო წინასაარჩევნო გამოკითხვების შედეგებს არ გამოუვლენია მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა ორგანიზაციის მონაცემებს შორის. ყველა გამოკითხვის მიხედვით, სამთავრობო პარტია SMER-SD ლიდერობდა, თუმცა მის მხარდამჭერთა რაოდენობა წლის განმავლობაში თანდათანობით იკლებდა. ყველაზე სწრაფად მზარდი მხარდაჭერა ჰქონდა PS- Spolu - ახალ ლიბერალურ პარტიას.

Focus, s.r.o.

პარტია	%
SMER-SD	19,6
ĽSNS	11,8
PS -Spolu	10,3
Za Ľudí	9,2
OĽaNO	8,0

Polis, s.r.o.

პარტია	%
SMER - SD	20,1
ĽSNS	11,1
Za Ľudí	10,3
PS - Spolu	10,1
SNS	7,0

AKO.sk, s.r.o.

პარტია	%
SMER - SD	18,4
Za Ľudí	12,5
PS - Spolu	12,4
ĽSNS	10,4
OĽaNO	7,6

2. მოქალაქეთა საარჩევნო აქტივობის ასამაღლებელი მეორე საშუალება არის ე.წ. „წინასწარი არჩევნები ანუ სიმულირებული არჩევნები“, რომელიც ტარდება 16-დან 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის სკოლებში. არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი დიდ ხანს რჩებოდა სლოვაკეთისთვის პრობლემად. ბოლო 2-3 წლის მანძილზე არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით ჰელსინკის კომიტეტი სლოვაკეთში, ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებდნენ ამ ტიპის ღონისძიებებს.

ახალგაზრდებთან დისკუსიებს ახორციელებენ ადამიანის უფლებათა დამცველები და პოლიტოლოგები. წელს ამ პროექტში 300-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მოდელირებულ არჩევნებში ახალგაზრდების მიერ გაკეთებული არჩევანი ფართო განხილვის საგანი ხდება მედიაში, იბეჭდება და დადებით გამოხმაურებას ჰპოვებს ახალგაზრდა თაობაში. ამ პროექტის ერთ-ერთი უპირველესი შედეგი 2019 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში და შემდეგ ევროკავშირის არჩევნებში ახალგაზრდების მაღალი აქტიურობაა (განსაკუთრებით მათი, ვინც პირველად მონაწილეობს არჩევნებში). მათი აქტიურობა ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოთხი წლის წინ გამართულ ევროკავშირის არჩევნებში.

ზოგადად, ახალგაზრდები უფრო აქტიურები არიან და გავლენას ახდენენ მშობლებზე, ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე...

მიმდინარე საპარლამენტო საარჩევნო კამპანიაში, რომელიც 2019 წლის ნოემბერში დაიწყო, ჯერჯერობით საარჩევნო რჩევების აპლიკაცია (VAA) არ ყოფილა გამოყენებული, მაგრამ საარჩევნო აქტივობის ხელშეწყობი რამდენიმე სხვა ინტერაქტიური საშუალება კი აქტიურად გამოიყენება.

19 პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული და მათმა უმრავლესობამ, წამყვანი პარტიების ჩათვლით, ღიად გამოხატა თავისი პროევროპული ორიენტაცია. მიუხედავად ამისა, არის ორი-სამი, გამოკვეთილად ნაციონალისტური ორიენტაციის პარტია, რომელიც გამოხატავს რადიკალურ პოზიციებს მიგრანტების, ადამიანის უფლებების და ლგბტ საკითხების მიმართ და რომელსაც საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს პოტენციური ამომრჩევლების მხრიდან -10-15%.

ახალგაზრდები ძალიან დიდ როლს ასრულებენ ამ პროცესებში. მათ შეუძლიათ მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი და წინა პლანზე წამოსწიონ დემოკრატიის მომავლის და ევროკავშირის საკითხები, პოზიტიური გავლენა მოახდინონ სლოვაკი მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია.

3. საპარლამენტო არჩევნებისადმი მიძღვნილი ინტერაქტიური საინფორმაციო გვერდი 2020:

- ვებ გვერდი: <https://volby.sme.sk/parlamentne-volby/2020>


1. პაღები: არჩევნების თარიღი: 29.02.2020

ელექტრონული საათი: მუდმივად გვანდის ინფორმაციას არჩევნებამდე დარჩენილი დროის შესახებ:

დღე	საათი	წუთი	წამი
↓	↓	↓	↓
....			

2. კანდიდატთა სია:

1. Slovenská ľudová strana Andreja Hlinku
2. DOBRÁ VOL'BA
3. Sloboda a Solidarita
4. SME RODINA
5. Slovenské Hnutie Obrody
6. ZA ĽUDÍ
7. MÁME TOHO DOSŤ !
8. Hlas pravice
9. Slovenská národná strana
10. Demokratická strana
11. OBYČAJNÍ ĽUDIA a nezávislé osobnosti (OĽANO), NOVA, Kresťanská únia (KÚ), ZMENA ZDOLA
12. Koalícia Progresívne Slovensko a SPOLU - občianska demokracia
13. STAROSTOVIA A NEZÁVISLÍ KANDIDÁTI
14. 99% - občiansky hlas
15. Kresťanskodemokratické hnutie
16. Slovenská liga
17. VLAST'
18. MOST - HÍD
19. SMER - sociálna demokracia
20. SOLIDARITA - Hnutie pracujúcej chudoby
21. HLAS ĽUDU
22. Magyar Közösségi Összefogás - Maďarská komunitná spolupatričnosť
23. Práca slovenského národa
24. Kotlebovci - Ľudová strana Naše Slovensko
25. Socialisti.sk




3. პოლიტიკური პარტიის რეიტინგი: უკანასკნელი გამოკითხვის შედეგები

- 2019 წლის დეკემბერი

- კვლევითი ორგანიზაცია – FOCUS

დიაგრამაზე ნაჩვენებია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაწილე 3%-ზე მაღალი რეიტინგის მქონე ყველა პოლიტიკური პარტია.

ინტერაქტიული რუკები



მომავალი საპარლამენტო არჩევნების მიმართ მოსახლეობის ინტერესის გაზრდის ერთ-ერთი პოპულარული საშუალებაა ინტერაქტიური რუკა. ჟურნალმა N-მა საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა 12 ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების რუკა. იგი არჩევნებს ამ პარტიების კანდიდატთა რეგიონალურ გადანაწილებას მთელი სლოვაკეთის მასშტაბით.

რუკის მეშვეობით შესაძლებელია მომხმარებლისთვის საინტერესო მრავალი სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება, მაგალითად:

- რომელ პარტიას ჰყავს ყველაზე მეტი კანდიდატი ბრატისლავაში,
- რომელ ადგილზეა კანდიდატთა სიაში ამა თუ იმ რეგიონის კანდიდატი,
- კანდიდატთა პროცენტული რაოდენობა 10 ათას მოსახლეზე კონკრეტულ რეგიონში,
- კანდიდატთა რუკა, თქვენი „მეზობელი“ კანდიდატები და სხვ.

4. პოლიტიკური რეიტინგების ბოლოდროინდელი შედეგები:

- დანკაპუნება → ყველა საარჩევნო გამოკითხვის შედეგები

5. როგორი შეიძლება იყოს მომავალი მთავრობის შემადგენლობა:

ვებგვერდზე არის პოლიტიკური პარტიების ფანჯრები, რომლებიც რანჟირებულია მომავალ პარლამენტში მიღებული ადგილების მიხედვით და წარმოდგენილია დეკემბრის გამოკითხვების შედეგები. ყოველ მომხმარებელს შეუძლია თავისი „იდეალური მთავრობის“ შექმნა ამ ფანჯრებზე დანკაპუნებით. შესაძლებელია მომავალ პარლამენტში ადგილების რაოდენობის, კოალიციის და ოპოზიციის წილის ნახვა და სხვ.

4. ევროპის პარლამენტის სიმულირებული არჩევნების შედეგები

2019 წლის 2-7 მაისს სლოვაკეთის 42 სკოლაში ევროპარლამენტის სიმულირებული არჩევნები ჩატარდა.

ამ ღონისძიებისთვის მოსწავლეები მოემზადნენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიებით, მოსწავლეების და მშობლების ერთობლივი დისკუსიებით, თანატოლებთან გამართული დებატებით და ა.შ. აქტივობებში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები (ადამიანის უფლებათა ჰელსინკის კომიტეტის სლოვაკეთის ორგანიზაცია, AI NOVA) საინფორმაციო შეხვედრებს აწყობდნენ მშობლებთან და მოსწავლეებთან 2019 წლის იანვრიდან.

სიმულირებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხმის მიცემის აქტიური უფლების მქონე (18 წელი და ზევით) მოსწავლეთა 42,2%-მა. მათ ხმა მისცეს ევროპარლამენტში არსებულ პოლიტიკურ ფრაქციებს (და არა სლოვაკეთის პოლიტიკურ პარტიებს).

სიმულირებული არჩევნები შემდეგი შედეგებით დასრულდა:

1. მწვანეები - ევროპის თავისუფალი ალიანსი - 23,2%
2. ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი - ევროპისთვის ALDE - 19,8%
3. ევროპის სახალხო პარტია/EPP - 14,6%
4. სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი/SSD - 12,7%
5. ერების და თავისუფლების ევროპა/ENF (ნაციონალისტური) - 8,7%
6. თავისუფლების ევროპა და პირდაპირი დემოკრატია/EFDD (ევროსკეპტიკური) - 7,2%
7. ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები/ECR (ევროსკეპტიკური) - 6,5%
8. ევროპის გაერთიანებული მემარცხენეები/NGL (კომუნისტური) - 5,1%

შედეგები ადასტურებს ახალგაზრდა სლოვაკი ამომრჩევლების დემოკრატიულ ორიენტაციას ჩვენი ქვეყნისა და მთლიანად ევროკავშირის მომავლისთვის. ბრექსიტის თემა ფართო განხილვის საგანი გახდა, მოხდა მისი მიზეზებისა და შედეგების შეფასება და ანალიზი. საბოლოოდ, ახალგაზრდა თაობის უმრავლესობამ ხმა მისცა დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე ევროკავშირს, სადაც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს.

პროექტის შედეგები გამოქვეყნდა და საყოველთაო განხილვის საგანი გახდა ევროპის პარლამენტის რეალური არჩევნების წინ და ამან დადებითი გავლენა იქონია როგორც ამომრჩეველთა აქტივობაზე, ისე მათ არჩევანზე.

რეკომენდაციები

- გარანტირებული უნდა იყოს წვდომა პარტიების იდეოლოგიურ პლატფორმასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და ამ საკითხების განხილვაში მოსახლეობის ჩართულობა.

- არჩევნებთან დაკავშირებული ემპირიული კვლევების შედეგები სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს და განიხილებოდეს ობიექტურობის პრინციპის დაცვით. მორატორიუმის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.

- არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების თავისუფალი განხილვის ყველა დამატებითი მეთოდი სასარგებლოა, მათ შორის სკოლებში და საზოგადოებრივ ჯგუფებში ჩატარებული სიმულირებული არჩევნები და ა.შ.

- ახალგაზრდების მოსაზრებები უნდა ქვეყნდებოდეს და განიხილებოდეს; ახალგაზრდებს მეტი წვდომა აქვთ ელექტრონულ მედიაზე, მეტ ინფორმაციას იღებენ პირადი გამოცდილებიდანაც და მეგობრებისგანაც საზღვარგარეთ მოგზაურობის შედეგად.

- ყველა ინტერაქტიური ვებგვერდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მოსახლეობას საშუალება ეძლევა, პირადად შეხება ჰქონდეს შესაძლო მომავალ მთავრობასთან, მის შემადგენლობასთან, ევროპარლამენტის ოფიციალური ფრაქციების პოლიტიკურ კუთვნილებასთან...

ბიბლიოგრაფია

- კანონი № 180/2014 – საარჩევნო უფლების გამოყენების პირობების შესახებ
- Dančišin, V. – O nedokonalosti volebných procedúr. Prešov, Reproma Prešov 2005, ISBN 80-967170-8-1
- <http://www.ainova.sk>
- <http://m.facebook.com/helcom.sk>
- <https://preferencie.teraz.sk/>
- <https://volby.sme.sk/parlamentne-volby/2020>
- <http://www.minv.sk/?nr20-kandidati3>
- <http://www.focus-research.sk/>
- <https://dennikn.sk/1696628/najviac-bratislavska-je-kandidatka-ps-spolu-najmenej-kdh-mapa-kto-z-vasich-susedov-kandiduje/?ref=tema>
- <https://tema.aktuality.sk/prieskum/>

საქართველო

ამომრჩეველთა პოლიტიკური
ნდობის მნიშვნელობა
კარგი მმართველობის და
მდგრადი დემოკრატიული
ბანკითარების
უზრუნველსაყოფად

ეკატერინე გამახარია

ფონდი „სოხუმი“

„მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა საკმარისი საკვებით, სამხედრო აღჭურვილობით და ნდობით მმართველის მიმართ... კითხვაზე, თუ საჭირო გახდა ამ სამთაგან არჩევა, რომელი შეიძლება დათმო? – „ჯარი“, – უპასუხა ოსტატმა. „თუ დარჩენილ ორთაგანაა არჩევანი გასაკეთებელი, რომელი შეიძლება დათმო?“ – „საკვები... რადგან ადამიანი შეიძლება გარდაიცვალოს ადრე თუ გვიან... მაგრამ თუ ხალხმა დაკარგა ნდობა მმართველის მიმართ, სახელმწიფოში ვერ იქნება სტაბილურობა და საზოგადოება ვერ იარსებებს“, – უპასუხა კონ ფუციმ“.

კონფუციის გამონათქვამების კრებული

შესავალი

ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების მიმართ მოსახლეობის პოლიტიკური ნდობა წარმოადგენს უმთავრეს ინდიკატორს, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს მოქალაქეების დამოკიდებულებას ხელისუფლების და, ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის მიმართ და ასევე კარგად ასახავს მოქალაქეების ჩართულობის ხარისხს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების ირგვლივ გადანყვეტილების მიღების პროცესში. პოლიტიკური ნდობა მიუთითებს იმაზეც, თუ რამდენად ახლოს დგას მოსახლეობა ხელისუფლებასთან და რამდენად სჯერა მას იმ ინსტიტუციების და პოლიტიკური ფიგურების, რომლებიც პასუხისმგებელი არის ქვეყნის მდგრად განვითარებაზე და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. სწორედ პოლიტიკური ნდობა აყალიბებს მოქალაქეების მხრიდან კოლექტიური ვალდებულებების და კანონების შესრულების სურვილს და ასევე მზაობას, ჩაერთოს პოლიტიკური გადანყვეტილების პროცესში¹. პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი დაბალი ნდობის მქონე მოქალაქეები ნაკლებად ერთვებიან პოლიტიკური მონაწილეობის ინსტიტუციონალიზებულ ფორმებში და უფრო ხშირად მიმართავენ სისტემის ცვლილებაზე ორიენტირებულ ქმედებებს², რაც საბოლოო ჯამში


1 ს. მარიენი (2011), „პოლიტიკური ნდობის გაზომვა დროსა და სივრცეში“; მ. ჰუგი, ს. ზმერლი „პოლიტიკური ნდობა - რატომ აქვს კონტექსტს მნიშვნელობა (გვ. 13-46). კოლჩესტერი: ECPR Press, წყარო ინგლისურიდან;

2 მ. ჰუგი, ს. მარიენი „ევროპაში პოლიტიკურ ნდობასა და პოლიტიკური მონაწილეობის ფორმებს შორის ურთიერთქმედების შედარებითი ანალიზი“, ევროპული საზოგადოებები, 2013 15 (1), გვ. 131-152, წყარო ინგლისურიდან;

ნეგატიურ გავლენას ახდენს დემოკრატიული მმართველობის მდგრადობაზე, საზოგადოებრივ ნესრიგზე, კეთილდღეობასა და სიჯანსაღეზე. შესაბამისად, პოლიტიკური ნდობა, რომელსაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიტიკური მონაწილეობის და კანონმორჩილების თვალსაზრისით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლეგიტიმურობის ერთგვარი მაჩვენებელი დემოკრატიულ რეჟიმებში.³

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმაოდ ყურადსაღები და, გარკვეულწილად, შემაფოთებელია დღეს მოქალაქეების მხრიდან პოლიტიკური პარტიების და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ წლიდან წლამდე ნდობის შემცირების მზარდი ტენდენცია. კავკასიის ბარომეტრის წლების შედარებითი მონაცემების თანახმად, 2012 წლიდან 2017 წლამდე, საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა 21%-დან 8%-მდე შემცირდა. ხოლო უნდობლობის მაჩვენებელი 22%-დან 43%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 1).⁴

TRUPPS: Trust – Political parties (%)



კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები – საქართველო
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

დიაგრამა 1

3 მ. ლევი, მ. სტოკერი „პოლიტიკური ნდობა და ნდობის ხარისხი“, პოლიტიკური მეცნიერების ყოველწლიური მიმოხილვა, 2000, გვ. 475-507, წყარო ინგლისურიდან

4 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო“. ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/TRUPPS/>

პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობის მაღალი ხარისხი ასევე კარგად ვლინდება საქართველოს ამომრჩევლის მხრიდან არჩევნებზე გაკეთებული არჩევანის მერყეობის მაჩვენებელში, ანუ რამდენად მტკიცეა ამომრჩეველი თავის არჩევანში არჩევნების დროს. პედერსენის ინდექსის თანახმად, რომელიც ამომრჩეველთა მერყეობას ითვლის, საქართველოში 2008-2012 წლებში ამომრჩეველთა მერყეობის საზღვრისით 55,8%, ხოლო 2012-2016 წლებში 23% გვაჩვენა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის თითქმის მეხუთედი (ანუ 23%) არ იყო დარწმუნებული საკუთარ არჩევანში, რაც არსებული პოლიტიკური მოთამაშეების მიმართ მოსახლეობის უნდობლობის საკმაოდ მაღალი ხარისხის მაჩვენებელია. „გადაუწყვეტელი“ ან „მერყევი“ ამომრჩევლის საკმაოდ მაღალ სტატისტიკას ადასტურებს NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული ბოლო კვლევის მონაცემები (2019 წლის ივლისის ანგარიში), რომლის თანახმად, კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მოსახლეობის 41% პასუხობს, რომ ხმის მისაცემად არ წავიდოდა. ხოლო გამოკითხულთა 59% არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათგან, ვინც არჩევნებზე წავიდოდა, 57%-ს გადაწყვეტილი არ აქვს, თუ ვის მისცემდა ხმას.⁵ აღნიშნული თვალნათლივ მიუთითებს არსებული პოლიტიკური სპექტრის მიმართ მოსახლეობის მხრიდან მაღალ უნდობლობაზე.

პოლიტიკური უნდობლობის მაღალი სტატისტიკა პირდაპირ შეესატყვისება მოქალაქეების დამოკიდებულებას და აღქმას ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხის მიმართაც. კავკასიის ბარომეტრის თანახმად, 2012 წლიდან 2017 წლამდე, მოსახლეობის რწმენა საქართველოს „არადემოკრატიულობის“ შესახებ თითქმის ორჯერ გაიზარდა და განმტკიცდა. კერძოდ კი, თუ 2012 წელს მოსახლეობის მხოლოდ 7% თვლიდა საქართველოს არადემოკრატიულ სახელმწიფოდ, 2017 წლისთვის ეს მაჩვენებელი 13%-მდე გაიზარდა. საგულისხმოა, რომ იმ მოქალაქეების პოზიციაზე, რომელთაც ხაზი გაუსვეს ქვეყნის დემოკრატიულობას, სულაც არ არის ცალსახა. დემოკრატიის ხარისხით უკმაყოფილება პირდაპირ იკვეთება პასუხებში, რადგან მოქალაქეთა უმრავლესობამ, კერძოდ კი 44%-მა, რომელიც საქართველოს დემოკრატიულად თვლის, აღნიშნა, რომ ეს დემოკრატია „დიდი პრობლემებით“ ხასიათდება.⁶

ყოველივე კარგად აღნიშნავს, რამდენად დიდ გავლენას ახდენს მოქალაქეთა პოლიტიკური ნდობის ხარისხი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხარისხზე. მოსახლეობაში ნდობის ნაკლებობა, ერთი მხრივ, შეიძლება იყოს განპირობებული სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობით, ან პირიქით, თავად ახდენდეს ნეგატიურ

5 News.On.ge, „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მოსახლეობის 41% პროცენტი არ წავიდოდა - NDI“, 19 სექტემბერი, 2019, ხელმისაწვდომია <https://on.ge/story/43514-ხვალ-რომ-საპარლამენტო-არჩევნები-იყოს-მოსახლეობის-41-პროცენტი-არ-წავიდოდა-ndi>

6 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო“. ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/CNTRDEM/>

გავლენას დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივაზე. ორივე ფენომენი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და, გარკვეულწილად, ურთიერთდამოკიდებულია ერთმანეთზე.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუციების შექმნის და საზოგადოების კეთილდღეობის საქმეში არ არის ჯეროვნად შეფასებული და აღქმული საქართველოში. დღეს არ ხდება სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, თუ რა განაპირობებს მოქალაქეებში უნდობლობის ასეთ მაღალ ხარისხს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არასაკმარისად ტარდება ის აუცილებელი და კომპლექსური ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობდა წლიდან წლამდე მოსახლეობის პოლიტიკური უნდობლობის მზარდი სტატისტიკის კლებას.

ცალსახაა, რომ მოქალაქეების მხრიდან ნდობის დაკარგვა გამოხატულებას ჰპოვებს მოსახლეობის პასიურობაში, ნიჰილიზმში, უიმედობაში, არჩევნებში და, ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისგან თავის შეკავებაში. უიმედობით და ნიჰილიზმით შეპყრობილი მოქალაქე, ბუნებრივია, ვერ იქნება ჩართული განვითარების პროცესში, არ მიიღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების პროცესში და ვერ გააკონტროლებს ხელისუფლების მხრიდან გაცემული დაპირებების ჯეროვნად შესრულებას. ეს კი, თავისთავად, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ხელისუფლების მხრიდანაც მოსახლეობის მიმართ ანგარიშგების ხარისხზე, ამცირებს გაცემული დაპირებების შესრულების მოტივაციას და, ზოგადად, ასუსტებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას. სწორედ მოქალაქეთა ჩართულობა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატიის ქვაკუთხედს, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ინტერესებზე და საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმართვას, საზოგადოებრივ ჯანსაღ განვითარებას და მოქალაქეთა კეთილდღეობას.

აღნიშნული ანალიტიკური სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტორების და მიზეზების გაანალიზება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოქალაქეთა პოლიტიკურ ნდობაზე და ასევე კონკრეტული რეკომენდაციების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში პოლიტიკური უნდობლობის ხარისხის შემცირებას და პოლიტიკური აქტორების მხრიდან საკუთარი მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდას. ანალიტიკური სტატია ეყრდნობა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევების მონაცემებს, ანალიტიკური ნაშრომების, შესაბამისი პოლიტიკური დოკუმენტების და საინფორმაციო სტატიების მიმოხილვას.

აღნიშნული ანალიზი არ ეყრდნობა მოსახლეობაში კონკრეტულად პოლიტიკური ნდობის საკითხზე ჩატარებული კვლევის მონაცემებს, რაც, ბუნებრივია, ზღუდავს სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას. თუმცა, სანდო და ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოქალაქეთა დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული

კვლევები საშუალებას იძლევა, გამოვკვეთოთ პრობლემის ზოგადი ტენდენციები და მიზეზები. სტატიაში აღწერილი მიგნებები საფუძვლად დაედება პრობლემის გამოსწორებაზე ორიენტირებულ კონკრეტულ რეკომენდაციებს.

მოქალაქეთა პოლიტიკური ნდობა და ამ ნდობის განმაპირობებელი ფაქტორები

ნდობა, გარკვეულწილად, ყალიბდება გაურკვეველობის და არასაკმარისი ინფორმაციის კონტექსტში, ანუ ადამიანი სხვას ენდობა მაშინ, როცა მან არ იცის ზუსტად მოსალოდნელი შედეგების შესახებ და მის ნდობას განაპირობებს წინასწარი რწმენა, რომ ადამიანი ან მოიქცევა მისი რწმენის შესაბამისად, ან არ მოიქცევა. ნდობა არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას, ანდოს საკუთარი კეთილდღეობა და მოწყვლადობა სხვას და ელოდება პოზიტიურ საქციელს მისგან.⁷ ბუნებრივია, ეს ზრდის მიმდობი მხარის მოწყვლადობას და წარმოშობს რისკს, რომ მისი რწმენა არ გამართლდება. **პოლიტიკური ნდობა** გულისხმობს ადამიანების სწრაფვას, მისდიონ კონკრეტულ პოლიტიკურ ლიდერებს საზოგადოებაში. ზოგიერთი ავტორის აზრით, პოლიტიკური ნდობა გამოიხატება ინდივიდების დამოკიდებულებაში პოლიტიკოსების და მათ მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ⁸. პოლიტიკური ნდობა შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც მოქალაქეთა რწმენა პოლიტიკური ლიდერების შესაძლებლობებსა და წარმატებულობაში, გაამართლონ მათი მოლოდინები, იმოქმედონ მათი ინტერესების და პრიორიტეტების საფუძველზე⁹. პოლიტიკურ ნდობას აღრმავებს პოლიტიკოსების მუშაობის კონკრეტული გამოცდილება წარსულში, მაგალითად, რამდენად მოახდინეს მათ მიერ მოქალაქეებისთვის გაცემული დაპირებების განხორციელება. პოლიტიკური ნდობა ასევე შეიძლება დაეფუძნოს მოქალაქეების დამოკიდებულებას და შეფასებას პოლიტიკური ინსტიტუტების (მაგ., პოლიტიკური პარტიის, პარლამენტის, მთავრობის აპარატის, სასამართლოს მიმართ და ა.შ.) მუშაობის შესახებ.

7 ა. ბურგი 2005, „ნდობის შექმნა? საჯარო სამსახურში ნდობის გაზრდის კრიტიკული პერსპექტივები; საჯარო საქმიანობის მმართველის მიმოხილვა“, ტომი 28, #4, წყარო ინგლისურიდან

8 მასუმეჰ ფირაი, ფატიმა ახლაგი, მეჰდი საიდი, 2015, „მთავრობის საქმიანობის მიმართ მოსახლეობის ნდობაზე გავლენის მქონე ფაქტორების გამოძიება“. წყარო ინგლისურიდან, ხელმისაწვდომია <https://pdfs.semanticscholar.org/be94/e0e207b1cb075e5f44a0b26840e1a03bf9df.pdf>


9 მ. ჯ. ჰეთერინგტონი, (2000), „პოლიტიკური ნდობის პოლიტიკური რელევანტურობა“, ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების მიმოხილვა #92, წყარო ინგლისურიდან

1. მოქალაქეთა ნდობის ხარისხი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ საქართველოში

მოსახლეობის ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ბევრწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აფასებენ მოქალაქეები პოლიტიკური ინსტიტუტების მუშაობას ქვეყანაში, ასევე რამდენად სჯერათ იმის, რომ მათ სამსახურში მყოფი პოლიტიკური სუბიექტები, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებიან მოქალაქეების ინტერესებს და პრიორიტეტების გატარებას და მიაჩნიათ თუ არა, რომ მოსახლეობის პრიორიტეტები ასახულია პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკურ პლატფორმებსა და პროგრამებში.

საგულისხმოა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობა ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების მუშაობით უკმაყოფილოა. მაგალითად, მთავრობის მუშაობას ცუდად და ძალიან ცუდად აფასებს გამოკითხული მოსახლეობის 60%, დადებითად მხოლოდ - 31%.¹⁰ პარლამენტის მუშაობით ასევე უკმაყოფილოა გამოკითხული მოსახლეობის 42%, მათ მუშაობას საშუალოდ აფასებს 39% და მხოლოდ 8% თვლის, რომ პარლამენტი კარგად მუშაობს. საგულისხმოა ასევე, რომ საკმაოდ სკეპტიკურია მოსახლეობის დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ, რომელთა უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები ემსახურებიან ან საკუთარ ინტერესებს - 44%, ან მათი ლიდერების ან/და დამფინანსებლების ინტერესებს - 31% (იხ. დიაგრამა 2). უნდობლობის ასეთი ხარისხი ცხადყოფს, თუ რამდენად დისტანცირებულია ამომრჩეველი პოლიტიკური პარტიებისგან და რამდენად სუსტია მათ შორის კომუნიკაცია და ურთიერთკავშირი.

PPINTER: ვის ინტერესებს წარმოადგენენ ქართული პოლიტიკური პარტიები? (%)




დიაგრამა 2

10 NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, ივლისი, 2019 წ., ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/nj2019ge/RATEGOV4/>

მოსახლეობის ნაწილი საკმაოდ კრიტიკულად აფასებს პარლამენტის წევრების კვალიფიკაციას და პროფესიონალიზმს, კერძოდ კი, 49% თვლის, რომ პარლამენტის წევრთა უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც, ბუნებრივია, არ იძლევა პოლიტიკური ნდობის საფუძველს.¹¹

საინტერესოა, რომ არსებულ კვლევებში გამოიკვეთა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის უმრავლესობისთვის პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო პლატფორმები და დაპირებები (იხ. დიაგრამა 3)¹².



დიაგრამა 3

თუმცა, ამასთან ერთად ძალიან საინტერესოა, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში თავიანთი წარმომადგენლების მუშაობის და პარტიების მიერ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების შესრულების ხარისხს, რაც, ბუნებრივია, ამომრჩევლის პოლიტიკური ნდობის ხარისხზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს.

11 NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, დეკემბერი, 2018 წ. ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/nd2018ge/MPQUALIF/>

12 ლევან კახიშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი, „ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია: რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება?“, მარტი 2019, გამოცემა #17, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GPI), გვ. 7, ხელმისაწვდომია <http://gip.ge/wp-content/uploads/2019/03/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-17-%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მოქალაქეთა განწყობები საკმაოდ სკეპტიკურია და საგანგაშოდ კრიტიკული. მაგალითად, გამოკითხულთა 62% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ პარლამენტის უმრავლესობა ბევრს შრომობს საკუთარი ქვეყნისთვის, 12%-მა კი უარი განაცხადა კითხვაზე პასუხის გაცემაზე. უფრო მეტიც, მოქალაქეთა 55% სრულიად არ ეთანხმება/ან ნაწილობრივ არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ პარლამენტის წევრები ითვალისწინებენ მოსახლეობის აზრს. მხოლოდ 8% მიიჩნევს, რომ მოქალაქეთა წარმომადგენლებისთვის მოქალაქეთა აზრი მნიშვნელოვანია.¹³ საგულისხმოა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 16% თვლის, რომ პარლამენტში არ არსებობს კორუფცია, მაშინ როცა 44% კორუფციას უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში უშვებს. დაახლოებით მსგავსი დამოკიდებულებაა პოლიტიკური პარტიების მიმართაც (არის კორუფცია - 46%, არ არის - 14%). უნდობლობის მკაფიო მაჩვენებელს წარმოადგენს მოსახლეობის შეფასება ხელისუფლების მხრიდან წარმართული ქვეყნის კურსის შესახებ, რაც ასევე არ გამოიყურება დამაიმედებლად. მოსახლეობის 49% ამბობს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება და მხოლოდ 18% აფასებს არსებულ კურსს დადებითად.¹⁴

აღნიშნული კრიტიკულობა საკუთარი წარმომადგენლების და ქვეყნის პოლიტიკური ფიგურების მიმართ, ბუნებრივია, საკმაოდ შემაშფოთებელია და, ერთი მხრივ, მიანიშნებს მოსახლეობასა და პოლიტიკური აქტორების საკმაოდ დიდ დისტანცირებაზე, მოსახლეობასთან თანამშრომლობის საკმაოდ დიდ დეფიციტზე. ამას ადასტურებს გამოკითხვის შედეგი, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობამ - 71%-მა¹⁵ არ იცის საკუთარი მაჟორიტარის ვინაობა და ასევე თვლის, რომ თუნდაც უნდოდეს მასთან შეხვედრა პარლამენტში, ამას თავისუფლად ვერ შეძლებდა - 57%.

უნდობლობის ხარისხს ზრდის ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა პოლიტიკური პარტიების მუშაობის და მათ პოლიტიკურ პროგრამებში ასახული პრიორიტეტების შესახებ, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება განპირობებულია პოლიტიკური პარტიების არასაკმარისი მუშაობით ამომრჩეველთან და თავად ამომრჩევლის არასაკმარისი აქტიურობით, პოლიტიკური პარტიებისგან მოითხოვოს პოლიტიკური პროგრამების თანხვედრა მათ საჭიროებებთან და პრიორიტეტებთან და გაცემული დაპირებების შესრულება.

ცალსახაა, რომ ამომრჩეველები არჩევანის გაკეთებისას აუცილებლად მიაქცევენ ყურადღებას საკუთარი წარმომადგენლების წარსულ საქმიანობას, რამაც შეიძლება

13 NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, დეკემბერი, 2018, ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/nd2018ge/PARLMEMB/>

14 NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_GEO_For%20distribution_VF.pdf

15 NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, დეკემბერი, 2018, ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/nd2018ge/MAJNAME/>

გადამწყვეტი როლი შეასრულოს საბოლოო შედეგებზე. 2015-2017 წლებში NDI-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ხუთი სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ პოლიტიკური პარტიის წარსული საქმიანობა ამომრჩევლისთვის წინასაარჩევნო დაპირებებზე მნიშვნელოვანია. რესპონდენტების 65%-74%-თვის პოლიტიკური პარტიების წარსული საქმიანობა მათ წინასაარჩევნო დაპირებებთან შედარებით უფრო პრიორიტეტულია.¹⁶

2. მოქალაქეთა პოლიტიკური ნდობის აუცილებლობა და უნდობლობის შედეგები

ნდობა *პოლიტიკური სისტემების ლეგიტიმაციის და მდგრადობის* უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. მოსახლეობის მხრიდან მაღალი პოლიტიკური ნდობით აღჭურვილი ხელისუფლება გაცილებით უფრო თავისუფლად, ეფექტიანად და იძულების გარეშე ახორციელებს მმართველობას. რაც უფრო მაღალია ნდობა, მით უფრო მაღალია მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობა და ეფექტურობა.

ნდობის არსებობა მოსახლეობაში აძლევს მთავრობას გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი *სტრუქტურული რეფორმების განხორციელების შესაძლებლობას*. ნებისმიერი რეფორმის წარმატება და მდგრადობა დამოკიდებულია ფართო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონსენსუსზე და მხარდაჭერაზე, რაც ხშირ შემთხვევაში მოითხოვს მოკლევადიანი სარგებლის მიღებაზე უარის თქმას გრძელვადიანი მიღწევებისთვის. შესაბამისად, მაღალი საზოგადოებრივი ნდობის გარემოში, სადაც მოსახლეობას სჯერა გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ შეთავაზებული კურსის, შესაძლებელია რეფორმების არა მხოლოდ სწორად დაგეგმვა, გატარება და განხორციელება, არამედ მიღწევების და კონკრეტული შედეგების მდგრადობის და გრძელვადიანობის უზრუნველყოფა.¹⁷

ნდობა წარმოადგენს მოსახლეობის მხრიდან *კანონმორჩილების, არსებული წესებისა და რეგულაციების დაცვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას*, რაც ასევე ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხს უკავშირდება. კანონმორჩილება ბევრწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალია მათი მიმღები პირების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა და რწმენა, რომ არსებული კანონები ქვეყნის კეთილდღეობისკენაა მიმართული. აღნიშნული კი ზრდის მათი აღსრულების პერსპექტივას (მაგალითად, გადასახადების გადახდა ან საგზაო წესების დაცვა). რაც უფრო მაღალია ნდობა გადაწყვეტილების მიმღებთა და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, მით უფრო

¹⁶ იგივე, გვ. 8

¹⁷ დ. გიორგი, 2013, „ინსტიტუციური ნდობა და ეკონომიკური პოლიტიკა“, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პრესა, ბუდაპეშტი, წყარო ინგლისურიდან

დიდია მიღებული რეგულაციების ნებაყოფლობითი აღსრულების და ცხოვრებაში გატარების ნება.¹⁸

აღსანიშნავია ასევე, რომ პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა ხელს შეუწყობს ისეთი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას, როგორებიცაა ინვესტიციების მოზიდვა, რაც უპირობოდ *ეკონომიკური ზრდის საწინდარია*. ნდობის ზრდა მოსახლეობაში ხელს უწყობს პროდუქტიულობას, რაც ეკონომიკური წინსვლის სტიმულატორია,¹⁹ ის აფართოვებს ეკონომიკური დაგეგმვის ჰორიზონტს და ზრდის ეკონომიკურ დინამიზმს.

მოსახლეობის პოლიტიკური ნდობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *კრიზისულ სიტუაციებში*, როგორებიც არის ბუნებრივი კატასტროფები, ეკონომიკური კრიზისი ან პოლიტიკური არეულობა. მთავრობის უნარი, მართოს კრიზისული სიტუაციები, განახორციელოს მასზე რეაგირების წარმატებული სტრატეგიები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩართოს ამ პროცესში საზოგადოება, რომელიც ნდობას გამოუცხადებს ხელისუფლებას, წარმოადგენს მათი ხელისუფლებაში დარჩენის და ხელახლა არჩევის წინაპირობას. დიდი სტიქიური კატასტროფების შემდეგ ნდობის ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს საგანგებო სიტუაციის მართვის და აღდგენის პროცესი, რაც დიდ ზიანს მიაყენებს საზოგადოებას და ხელს შეუშლის მთავრობის პროაქტიული მოქმედებების განხორციელებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ნდობის დამყარებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, საკმაოდ ადვილია მისი დაკარგვა. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო იმაზე მსჯელობა, თუ რა გავლენას ახდენს ნდობა მთავრობის საქმიანობაზე და მის ეფექტიანობაზე, არამედ იმაზე დაფიქრება, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია უნდობლობას. უნდობლობა იწვევს მოსახლეობის მხრიდან კანონების დაცვის და აღსრულების ნების არარსებობას, ასევე კრიზისების დროს მოქმედების ინერტულობას და გადასახადებისგან თავის არიდების სურვილს, რაც შეიძლება საკმაოდ ძვირად დაუჯდეს მთავრობას. საზოგადოების უნდობლობა აფერხებს სახელმწიფო ინსტიტუტებში ინტელექტუალური რესურსის და პროფესიონალების შენარჩუნების ან მოზიდვის შესაძლებლობას.²⁰

18 ს. მარიენი (2011), „პოლიტიკური ნდობის გაზომვა დროსა და სივრცეში“, მ. ჰუგი, ს. ზმერლი, „პოლიტიკური ნდობა - რატომ აქვს კონტექსტს მნიშვნელობა (გვ. 13-46), კოლჩესტერი: ECPR Press, წყარო ინგლისურიდან

19 პ. დასგუპტა, „ნდობის საკითხი: სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური განვითარება“, მომზადებულია პრეზენტაციისთვის ყოველწლიურ საბანკო კონფერენციაზე განვითარების ეკონომიკის შესახებ, სეული, ივნისი, 2009, წყარო ინგლისურიდან

20 ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, (2013), „მთავრობა ერთი შეხედვით“, 2013, გვ. 23, წყარო ინგლისურიდან, ხელმისაწვდომია http://dx.doi.org/10.1787/gov_glance-2013-en

3. დასაქვანა და რეკომენდაციები - სტრატეგიები პოლიტიკური ნდობის გასაზრდელად

მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ კრიტიკულად დაბალი ნდობის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნდობის გაძლიერებისკენ მიმართული მოქმედებების წარმართვა, რადგან სწორედ პოლიტიკური ნდობა აყალიბებს მოქალაქეების მხრიდან კოლექტიური ვალდებულებების და კანონების შესრულების სურვილს და მათ მზაობას, ჩაერთონ პოლიტიკური გადანაცვეტილების პროცესში. ცალსახაა, რომ მოქალაქეების მხრიდან ნდობის დაკარგვა იწვევს მოსახლეობის პასიურობას, ნიჰილიზმს, უიმედობას, არჩევნებში და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისგან თავის არიდებას, რაც თავისთავად ასუსტებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას.

სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის გაზრდის ეფექტიანი სტრატეგიების დასაგეგმად და განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც წარმოადგენენ მოქალაქეთა მოლოდინებს პოლიტიკური ინსტიტუტების და პოლიტიკური ფიგურების მიმართ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო, ინგლ. Organization for Economic Cooperation and Development - OECD) მიერ რეკომენდებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობდა პოლიტიკური ნდობის ზრდას და გაძლიერებას მოსახლეობაში:

მთავრობის მხრიდან საიმედოობის უზრუნველყოფა - რაც გულისხმობს მთავრობის უნარს, მინიმუმამდე დაიყვანოს მოქალაქეების გაურკვევლობის ხარისხი მის მიერ გატარებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიმართულებების შესახებ და იმოქმედოს თანმიმდევრული და პროგნოზირებადი გზით. ამ თვალსაზრისით ევროპის მრავალ ქვეყანაში აპრობირებულ საკმაოდ წარმატებულ პრაქტიკას წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების მიერ საკუთარი პოლიტიკური პროგრამების და მათში ასახული ძირითადი პრიორიტეტების შესახებ მოსახლეობის ფართო ინფორმირება, რაც ზრდის მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებულებას და პასუხისმგებლობას პოლიტიკური აქტორების მხრიდან. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ონლაინ პლატფორმა - „ამომრჩევლის რჩევის აპლიკაცია“ (Voter Advice Application), რომელშიც ინტეგრირებულია არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამული მიმართულებები და პრიორიტეტები. აპლიკაციაში ასახულ კითხვებზე პასუხის გაცემის გზით ამომრჩეველს ეძლევა საშუალება, გაეცნოს მის შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან ყველაზე ახლოს მდგომ პოლიტიკურ პარტიას, რაც, ერთი მხრივ, ზრდის მოქალაქის ინფორმირებულობას და გააზრებული გადანაცვეტილების მიღების შანსს არჩევნებზე და ასევე ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების გაძლიერებას. აღნიშნული კი საიმედოობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ღიაობა, გამჭვირვალობა და ჩართულობა ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ნდობის გაძლიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, რაც გულისხმობს პოლიტიკური მოთამაშეების მხრიდან ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელშიც უზრუნველყოფილია მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების და მონიტორინგის პროცესში, ასევე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული სტრატეგია ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული საიმედოობასთან. გამჭვირვალობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია, რომელიც მოსახლეობისთვისაა ხელმისაწვდომი, იყოს მათთვის გასაგები, სასარგებლო და გამოსადეგი. მაგალითად, საინტერესო პრაქტიკაა **ბრაზილიაში**, სადაც სპეციალურად შექმნილი გამჭვირვალობის პორტალის საშუალებით მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს სახელმწიფო ხარჯების შესახებ გამოქვეყნებულ მონაცემებს, რაც აძლიერებს სამოქალაქო კონტროლს მთავრობის მიერ გადასახადების გახარჯვის პროცესზე და აძლევს მოქალაქეს ნებისმიერ ინფორმაციას მისთვის საინტერესო სახელმწიფო ხარჯების შესახებ. მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით საინტერესო პრაქტიკას წარმოადგენს **მადრიდში** შექმნილი პლატფორმა სახელად „გადაწყვიტე, მადრიდო“ (Decide Madrid), რომელიც ქალაქის მცხოვრებლებს აძლევს საშუალებას, უშუალოდ ჩაერთონ ბიუჯეტის პრიორიტეტების დადგენის პროცესში 100 მილიონი ევროს ბიუჯეტისთვის. ამ პლატფორმის საშუალებით მოსახლეობას შეუძლია ქალაქის საჭიროებების და პრიორიტეტების განსაზღვრა და, შესაბამისად, მთავრობისთვის როგორც კონკრეტული პროგრამის შეთავაზება, ასევე პროექტების განხორციელების პროცესზე მონიტორინგის განწევა.

მოსახლეობის საჭიროებების მიმართ მგრძნობელობა და მათზე რეაგირების უნარი, რაც გულისხმობს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი, ეფექტიანი, მათ საჭიროებაზე და მოლოდინებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდებას. გარდა იმისა, რომ მოსახლეობას აქვს მოთხოვნილება, მოუსმინოს მთავრობამ და პოლიტიკურმა მოთამაშეებმა, მას ასევე გააჩნია მოლოდინი, რომ მის მიერ გახმოვანებულ საჭიროებებს და პრიორიტეტულ საკითხებს მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ საჭიროებაზე ორიენტირებული პოლიტიკის არარსებობა ან სიმწირე იწვევს პოლიტიკური ნდობის უპირობო დაქვეითებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოლიტიკური პრიორიტეტების შემუშავების პროცესში მოსახლეობის ჩართვა, მათ მიერ გახმოვანებულ პრობლემებზე რეაგირება.

პატიოსნება პოლიტიკური ნდობის მოსაპოვებლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კომპონენტია. იმისთვის, რომ მოხდეს ხელისუფლების და პოლიტიკური ინსტიტუტების აღიარება სუფთა, სამართლიან და გამჭვირვალე მოთამაშედ, აუცილებელია პოლიტიკური ინსტიტუტების ქცევის ფართო სტანდარტებთან და პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც მიმართული იქნება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და კორუფციის აღმოფხვრისკენ. მაგალითად, **საქართველოში**

მოქალაქეები იყენებენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სამოქალაქო საზოგადოების მიერ შემუშავებულ **საბიუჯეტო მონიტორის პლატფორმას**, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, ინტერნეტით გააკონტროლონ, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფო სახსრები, ასევე განაცხადონ მათთვის ცნობილი კორუფციის ფაქტების შესახებ და მიუთითონ, თუ რომელი სახელმწიფო უწყების გაკონტროლება და შემოწმება სურთ აუდიტის სამსახურის მხრიდან.

პოლიტიკური ნდობის გაზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკა და მიდგომები სრულიად ახალ მუხტს და პერსპექტივას შემოიტანს საჯარო მმართველობის საქმეში. მოქალაქეთა ნდობის ზრდა გააძლიერებს მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის სოციალური კონტრაქტის ცნებას, რომლის დროსაც მოქალაქე იქნება აღქმული არა მხოლოდ როგორც გადასახადის გადამხდელი და კანონის შემსრულებელი, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის უშუალო მონაწილეც, რომელიც თანამშრომლობს სახელმწიფოსთან პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში. მოქალაქეების მხარდაჭერის და ნდობის მოსაპოვებლად აუცილებელია ყველა პოლიტიკური მოთამაშე, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლები და პოლიტიკური პარტიები, იყოს მაქსიმალურად ინკლუზიური, გამჭვირვალე, მგრძნობიარე მოქალაქეთა პრიორიტეტული საჭიროებების მიმართ და მაქსიმალურად იმოქმედოს მოქალაქეთა პრიორიტეტების შესაბამისად. ნდობის მნიშვნელობის აღიარება, უფრო კარგად გააზრება და მის გაზრდაზე ორიენტირებული მოქმედებები უპირობოდ დაეხმარება ხელისუფლებას მმართველობის ეფექტიან წარმართვაში, გრძელვადიანი და შედეგზე ორიენტირებული რეფორმების გატარების და პოლიტიკური დღის წესრიგის უკეთ ჩამოყალიბების საქმეში.

ბიბლიოგრაფია

1. ა. ბურგი 2005, „ნდობის შექმნა? საჯარო სამსახურში ნდობის გაზრდის კრიტიკული პერსპექტივები; საჯარო საქმიანობის მართვის მიმოხილვა, ტომი 28, №4, წყარო ინგლისურიდან: Burg A.(2005); "Creating trust? A critical perspective on trust-enhancing efforts in public services"; Public Performance & Management Review, Vol. 28, No. 4
2. დ. გიორფი, 2013, „ინსტიტუციური ნდობა და ეკონომიკური პოლიტიკა“, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პრესა, ბუდაპეშტი, წყარო ინგლისურიდან: Gyorffy, D. (2013), Institutional Trust and Economic policy, Central European University Press, Budapest
3. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2013), „მთავრობა ერთი შეხედვით“, 2013, გვ. 23, წყარო ინგლისურიდან: OECD, Government at a Glance 2013, OECD, page 23 available at <http://dx.doi.org/10.1787/gov-glance-2013-en>
4. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2017). „კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო“, ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/CNTRDEM/>
5. კ. მერფი, 2004, ნდობის როლი ვალდებულებების შესრულების საქმეში: ბრალდებულ ურჩ გადამხდელთა შემსწავლელი კვლევა“, კანონი და ადამიანის ქცევა, ტომი 28 (2), გვ. 187-209, წყარო ინგლისურიდან: Murphy, K. (2004), "The role of trust in nurturing compliance: A study of accused tax avoiders", Law and Human Behavior, Vol. 28(2), pp. 187-209
6. ლევან კახიშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი, „ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია: რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება?“, მარტი 2019, გამოცემა №17, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GPI), გვ. 7, ხელმისაწვდომია <http://gip.ge/wp-content/uploads/2019/03/პოლიტიკის-დოკუმენტი-17-ლევან-კახიშვილი.pdf>
7. მასუმეჰ ფირაი, ფატიმა ახლაგი, მეჰდი საიდი, 2015, „მთავრობის საქმიანობის მიმართ მოსახლეობის ნდობაზე გავლენის მქონე ფაქტორების გამოძიება“, წყარო ინგლისურიდან: Masoomah PIRYAEI,* , Fatemeh AKHLAGHI, Mehdi SAEED (2015) „An Investigation into the Factors Affecting People's Trust in Government Performance“, available at <https://pdfs.semanticscholar.org/be94/e0e207b1cb075e5f44a0b26840e1a03bf9df.pdf>
8. მ. ლევი, მ. სტოკერი, „პოლიტიკური ნდობა და ნდობის ხარისხი“, პოლიტიკური მეცნიერების ყოველწლიური მიმოხილვა, 2000, გვ. 475-507, წყარო ინგლისურიდან: Levi M, Stoker L. Political trust and trustworthiness. Annual Review of Political Science. 2000;3:475-507. doi: 10.1146/annurev.polisci.3.1.475

9. მ. ჯ. ჰეთერინგტონი, (2000), „პოლიტიკური ნდობის, პოლიტიკური რელევანტურობა“, ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების მიმოხილვა №92, წყარო ინგლისურიდან: Hetherington M. J.(2000); "The political relevance of political trust"; American Political Science Review 92
10. მ. ჰუგი, ს. მარიენი, „ევროპაში პოლიტიკურ ნდობასა და პოლიტიკურ მონაწილეობის ფორმებს შორის ურთიერთქმედების შედარებითი ანალიზი“, ევროპული საზოგადოებები, 2013 15 (1), გვ. 131-152, წყარო ინგლისურიდან: Hooghe M, Marien S. A comparative analysis of the relation between political trust and forms of political participation in Europe. European Societies. 2013;15(1):131–152. doi: 10.1080/14616696.2012.692807
11. NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/nj2019ge/RATEGOV4/>
12. NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, დეკემბერი, 2018, ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/ge/nd2018ge/MPQUALIF/>
13. პ. დასგუპტა, „ნდობის საკითხი: სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური განვითარება“, მომზადებულია პრეზენტაციისთვის ყოველწლიურ საბანკო კონფერენციაზე განვითარების ეკონომიკის შესახებ, სეული, ივნისი, 2009, წყარო ინგლისურიდან: Dasgupta, P. (2009), "A Matter of Trust: Social Capital and Economic Development", prepared for presentation at the Annual Bank Conference on Development Economics (ABCDE), Seoul, June.
14. ს. მარიენი (2011), „პოლიტიკური ნდობის გაზომვა დროსა და სივრცეში“, მ. ჰუგი, ს. ზმერლი, „პოლიტიკური ნდობა - რატომ აქვს კონტექსტს მნიშვნელობა“ (გვ. 13-46), კოლჩესტერი: ECPR Press. წყარო ინგლისურიდან: Marien, S. (2011). Measuring Political Trust Across Time and Space. In: Hooghe M., Zmerli S. (Eds.), Political Trust. Why Context Matters. (pp. 13-46). Colchester: ECPR Press

საქართველო

2020 წლის საპარლამენტო
არჩევნების საპარაუდო
საარჩევნო მოდელები
(ხელისუფლებისა და
ოპოზიციის პროექტები)

ლელა ხატრიძე

ფონდი „სოხუმი“

შემოკლებანი:

პოლიტსპექტრი - პოლიტიკური სპექტრი

პოლიტძალები - პოლიტიკური ძალები

ცესკო - ცენტრალური საარჩევნო კომისია

ენმ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ვენეციის კომისია - ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად

Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE) - ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) - ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

1. შესავალი

საქართველო 2020 და, შესაძლოა, მომდევნო 4 წლის მთავარი პოლიტიკური მოვლენის - საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია, რომელმაც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს შემდეგ არჩევნებამდე უნდა განსაზღვროს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, მათი გავლენა და ძალაუფლების განაწილება. საარჩევნო სისტემა¹, როგორც პარლამენტის ფორმირების და მანდატების განაწილების განმსაზღვრელი წესი, მწვავე დაპირისპირების მიზეზია, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული, მოსახლეობის მიერ არჩევნებში გამოხატული ნება როგორ აისახება პოლიტიკური ძალებისათვის მიკუთვნებულ მანდატების რაოდენობაზე. საარჩევნო სისტემის მნიშვნელობას, თავის გადაწყვეტილებაში, ხაზი გაუსვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც: „საარჩევნო სისტემები განაპირობებს საარჩევნო ხმებისა და შესაბამისი მანდატების... ურთიერთდამოკიდებულებას, განსაზღვრავს მიღებული ხმების მანდატად გარდაქმნის პროცესს.“² შესაბამისად, ეს საკითხი განმსაზღვრელია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისთვის. საარჩევნო

1 ავტ. კოლექტივი, რედ. ა. დემეტრაშვილი - „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, გვ. 158 - <https://bit.ly/378iPYE>

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩანანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 16 - <http://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=969>

სისტემის მნიშვნელობას კარგად წარმოაჩენს ის, რომ ერთი და იმავე პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობით, ამომრჩეველთა უცვლელი მხარდაჭერის პირობებში, სხვადასხვა საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები განსხვავებულ პოლიტიკურ შედეგს აჩვენებს.³

მაჟორიტარული, პროპორციული და შერეული საარჩევნო მოდელების მრავალი ვარიანტი არსებობს. უდავოა, რომ სრულყოფილი საარჩევნო სისტემა არ არსებობს, ყველა მოდელს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. საარჩევნო პრინციპების⁴ დაცვის პირობებში, ვენეციის კომისია არც ერთ საარჩევნო სისტემას არ ანიჭებს უპირატესობას.⁵ თუმცა კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით შესაძლებელია ადგილობრივ გამოწვევებზე საპასუხოდ ადეკვატური და შედარებით სამართლიანი მოდელის გამოკვეთა.

საქართველოში საარჩევნო სისტემის მოდელის შეცვლა დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. არსებული სისტემის ნაკლოვანებებზე პოლიტიკური ძალები და სამოქალაქო საზოგადოება მუდმივად მიუთითებდნენ, რადგან მოქმედი შერეული მოდელი ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ხმების სამართლიან გარდასახვას საპარლამენტო მანდატებში.⁶ 2018 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, ხელისუფლებამ უპასუხა მრავალწლიან მოთხოვნას და შემოიღო სრულად პროპორციული სისტემა⁷, თუმცა არ გაავრცელა 2020 წელს ჩატარებულ არჩევნებზე. პროპორციული სისტემის შემოღებას - დადებითი, ხოლო გადაღებას - უარყოფითი შეფასება მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოებისგან.⁸

საარჩევნო მოდელის საკითხმა განსაკუთრებული სიმწვავე ბოლო პერიოდში შეიძინა, მას შემდეგ, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ დაპირებული

3 ავტ. კოლექტივი, რედ. ა. დემეტრაშვილი - „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, გვ. 172; ასევე, საარჩევნო სისტემები და შედეგის ცვლილება განსხვავებული საარჩევნო ფორმულების გამოყენებისას, იხ.: საქართველოს პარლამენტი - „საარჩევნო სისტემები“, გვ. 3-30 - http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf

4 European Commission for Democracy through Law (Venice Commission) – Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines And Explanatory Report, I. Principles of Europe’s electoral heritage - [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2002\)023rev2-cor-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2002)023rev2-cor-e)

5 იქვე, II - Conditions for implementing these principles, para. 4

6 „საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების მიმართვა საქართველოს პარლამენტს“ - <http://old.isfed.ge/main/904/geo/>

7 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 37.2 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

8 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemaze-mmartveli-partiis-gadatsqvetileba-miughebelia>

ლი საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტმა ჩააგდო.⁹ შესაბამისად, ძალაში დარჩა კონსტიტუციის გარდამავალი დებულებით დადგენილი, მოქმედი შერეული საარჩევნო მოდელი.

არსებული წესი მიუღებელია ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრისათვის. საკონსტიტუციო ცვლილებების ჩაგდებას საპროტესტო აქციები და მწვავე დაპირისპირება მოჰყვა. მხარეთა შორის დიალოგის ხელშეწყობის ინიციატივა დიპლომატიურმა კორპუსმა წამოაყენა და, მათი ორგანიზებით, მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. ამ ფორმატში წარმოდგენილია ორი წინადადება: ოპოზიციის პროექტი - ე.წ. „გერმანული მოდელი“ და მმართველი პარტიის ინიციატივა - მაჟორიტარული მანდატების შემცირების შესახებ.

ამ ეტაპზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აქტიურად განიხილება მოვლენების სამი შესაძლო განვითარება: არსებული მოდელის ძალაში დარჩენა, ოპოზიციის პროექტი - ე.წ. გერმანული მოდელი და ხელისუფლების ინიციატივა - მაჟორიტარული მანდატების შემცირების შესახებ. სწორედ ეს პროექტები, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შესაძლო სცენარებია განხილვის საგანი წინამდებარე დოკუმენტში, რომლის მიზანია წარმოდგენილი ინიციატივების შეფასება კონსტიტუციურობისა და არსებულ პოლიტიკურ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების კუთხით. ამისათვის სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა არსებული პოლიტიკური სურათი, ცესკოს მონაცემები, სამართლებრივი ჩარჩო, აკადემიური და კვლევითი ლიტერატურა ამ საკითხზე.

2. განსახილველი საარჩევნო სისტემის მოდელები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის

2.1. არსებული საარჩევნო მოდელი

მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების მიღწევის სირთულის გათვალისწინებით, 2020 წლის არჩევნებისათვის, შესაძლოა, ძალაში დარჩეს არსებული შერეული მოდელი, რომლის მიხედვითაც, პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით - 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრისაგან.¹⁰

9 ინფორმაცია კენჭისყრის შედეგებზე - <https://bit.ly/2SxFiKL>
კანონპროექტი: „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - <https://info.parliament.ge/#law-drafting/18526>

10 საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მუხ. 1.2 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4110673?publication=0>

საარჩევნო სისტემის საკითხი განხილვის საგანი იყო 1995 წელს, კონსტიტუციის მიღების დროსაც. საბოლოოდ, შერეულ მოდელს მიენიჭა უპირატესობა. პირვანდელი ნორმით პროპორციული მანდატების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა მაჟორიტარულს (150/85).¹¹ შესაბამისად, პოლიტიკური ძალების მიერ პარტიული მხარდაჭერის მხრივ წარუმატებლობა, მაჟორიტარული მანდატებით ნაკლებად კომპენსირდებოდა. დამოუკიდებელი საქართველოს ყველა მოწვევის საკანონმდებლო ორგანო შერეული სისტემით იყო არჩეული.

დღეს მოქმედი სისტემით, პროპორციული (77) და მაჟორიტარული (73) კვოტა თითქმის თანაბარია.¹² პარტიის კუთვნილი მანდატების რაოდენობის დასადგენად, პროპორციული და მაჟორიტარული კენჭისყრის რეზულტატი ცალ-ცალკე ითვლება და ჯამდება. შედეგად, მაღალი ელექტორალური ლეგიტიმაციის არმქონე პარტიასაც კი შეუძლია საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის მოპოვება და ქვეყნის მართვა. სწორედ ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტსპექტრის უმეტესი ნაწილი დიდი ხანია საუბრობენ არსებული სისტემის ნაკლოვანებებსა და სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საჭიროებაზე.¹³ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებულ ხმებსა და საპარლამენტო მანდატებს შორის წარმოქმნილი დისპროპორცია თითქმის ყოველთვის მმართველი ძალის სასარგებლოდაა. 2008 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებზე დისპროპორციამ მანდატებსა და ხმებს შორის 20% ან მეტი შეადგინა, ორივე ჯერზე მმართველი გუნდის სასარგებლოდ. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ენმ-მ მიიღო ხმების 59% პროპორციული არჩევნებით, მაგრამ, მაჟორიტარული მანდატების დამატებით, საკანონმდებლო ორგანოში ადგილების 79% - საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა (150 ადგილიდან 118). 2016 წელს, ქართულმა ოცნებამ, 49%-იანი ელექტორალური მხარდაჭერით, მანდატების 77% (150 ადგილიდან 115) მიიღო მაჟორიტარების დამატების ხარჯზე.¹⁴

არსებული სისტემის უმთავრესი ნაკლია ისაა, რომ ამომრჩეველთა მხარდაჭერა სამართლიანად არ არის ასახული პარტიების საპარლამენტო მანდატებსა და, შესაბამისად, მათ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. ამ მოდელის მეშვეობით, პოლიტიკური სუბი-

11 ვ. ბაბეკი - კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), გვ. 109-111 - <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/203880/1/KonstituciisShemushavebaDaMigebaSaqartveloshin.pdf>

12 2008 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომელიც 2011 წელს გაუქმდა, პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების რაოდენობა თანაბარი იყო. იხ.: საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, მუხ. 1.1. - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20692?publication=0>

13 „საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების მიმართვა საქართველოს პარლამენტს“ - <http://www.isfed.ge/main/904/geo/>

14 საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შეფასება - არასამთავრობოების მიმართვა ვენეციის კომისიას, გვ. 7 - <http://old.isfed.ge/main/1222/geo/>

ექტების ძალაუფლება არ შეესაბამება მის ელექტორალურ მხარდაჭერას. არსებული სისტემის წყალობით, მმართველი ძალა (ახლა - „ქართული ოცნება“ და ადრე - ენმ) იმაზე მეტ პოლიტიკურ გავლენას იღებს, ვიდრე პარტიული მხარდაჭერის შესაბამისად ეკუთვნის. არსებული მოდელი სასარგებლოა ხელისუფლებაში მყოფი ძალისათვის და ნაკლებ შანსს უტოვებს შედარებით პატარა პარტიებს. ამდენად, ლოგიკურია, რომ ამჟამინდელ ოპოზიციასაც, ხელისუფლებაში ყოფნისას, არ ეთმობოდა მანდატების განაწილების ეს წესი.

მაჟორიტარული და პროპორციული მანდატების რაოდენობა თითქმის თანაბარია. რაც მეტია მაჟორიტარული კომპონენტი, მით ნაკლებადაა დაცული პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი. მაჟორიტარიზმის დიდი წილის გამო, მოქმედ საარჩევნო სისტემას სხვა ნაკლოვანებებიც აქვს, მათ შორის: ხელს არ უწყობს ქალთა წარმომადგენლობას¹⁵; მმართველი ძალის დაბალანსებას; ამომრჩეველთა დაკარგული ხმების შემცირებას და სხვ.

ვენეციის კომისია, საარჩევნო სისტემის შეფასებისას, ყოველთვის ითვალისწინებს ადგილობრივ სპეციფიკას, რადგან იგი კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციის და პარტიული სისტემის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს და არა იზოლირებულად.¹⁶

ჩვენს რეალობაში, პოსტსაბჭოთა სივრცის დიდი ნაწილის მსგავსად, გამოწვევას წარმოადგენს მმართველი პარტიის დიდი ძალაუფლების დაბალანსება და მკვეთრად პოლარიზებულ სივრცეში მეტი პლურალიზმის შემოტანა, პარტიების გაძლიერება, რასაც ვერ პასუხობს არსებული საარჩევნო მოდელი. გამოცდილება ადასტურებს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სუსტი პოლიტიკური პარტიების პირობებში, პრობლემურია შერეული საარჩევნო სისტემის გამოყენება, რადგან პროპორციულზე მაჟორიტარული მანდატების დამატება უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოში მმართველი პარტიის მიერ უმრავლესობის (შესაძლოა, საკონსტიტუციო უმრავლესობისაც) მოპოვებას.¹⁷

ვენეციის კომისიის პოზიციას ადგილობრივი ექსპერტებიც იზიარებენ. კონკრეტული წესის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მისი გამოყენების პრაქტიკა. არსებული მოდელი, დომინანტი მმართველი პარტიის პირობებში, უსამართლო შედეგს იძლევა, რადგან სახელისუფლებო პარტია, როგორც წესი, იგებს

15 European Commission for Democracy through Law (Venice Commission) – Compilation of Venice Commission Opinions And Reports concerning Electoral Systems, (CDL-AD(2009)029 - Report on the Impact of Electoral Systems on Women's Representation in Politics (para. 111)), p. 22 – [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI\(2019\)001-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2019)001-e)

16 იქვე - (CDL-AD(2017)012 Republic of Moldova – Joint Opinion on the draft laws on amending and completing certain legislative acts (electoral system for the election of the Parliament - para. 26), p.4

17 ვ. კილურაძე - „საარჩევნო სისტემები - საერთაშორისო გამოცდილება“ - <https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba>

უმეტეს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქს, ან თითქმის ყველას. შესაბამისად, მაჟორიტარული და პროპორციული მანდატების მექანიკური შეკრების წესი უპირატესობას აძლევს მმართველ ძალას.¹⁸

2.2. ოპოზიციის ინიციატივა - ე. წ. „გერმანული მოდელი“

ოპოზიციის ინიციატივა - „გერმანული მოდელი“ შერეული წევრობის პროპორციული, დამოკიდებული (Mixed-member proportional) საარჩევნო სისტემის ნაირსახეობაა. ამ მოდელში შენარჩუნებულია როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული არჩევნები, მაგრამ საპარლამენტო მანდატების განაწილებისას განმსაზღვრელია პროპორციული წარმომადგენლობა (პროპორციული სისტემის საფუძველზე მიღებული ხმები). ინიციატივა გულისხმობს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ე.წ. „გერმანული მოდელით“, რომელიც აღებულია გერმანული პრაქტიკიდან და მოდიფიცირებულია საქართველოს სპეციფიკისთვის.¹⁹ ამ მოდელით, ინიციატორები მთავარი ამოცანის - სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფას ცდილობენ.²⁰ ოპოზიციის კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა არის იმის წინაპირობა, რომ სამართლიანად იყოს წარმოდგენილი საქართველოს ამომრჩევლის ნება და მათი ნების პროპორციულად გადანაწილდეს მანდატები.²¹ ეს მოდელი ითვალისწინებს, რომ ყველა პარტია მიღებული ხმების პროპორციულად იქნება წარმოდგენილი პარლამენტში (იკვლება მანდატების განაწილების წესი, მაგრამ ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილ საარჩევნო სისტემას.²²

18 ბ. ლოლაძე - „გერმანული საარჩევნო მოდელი და მისი საქართველოში იმპლემენტაცია (ანალიზი)“, ღია საზოგადოების ფონდი, 2019 წ., გვ. 14 - <https://bit.ly/2Q0VeDE>

19 ოპოზიციის კანონპროექტი დეტალურად იხ.: საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ -

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/238094?>

20 დავით უსუფაშვილის განცხადება - <https://bit.ly/2tV6U2i>

21 განმარტებითი ბარათი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე“, გვ. 1 - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/238095?>

22 ოპოზიციის ინიციატივა ასევე ითვალისწინებს მრავალმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების შემოღებას, რაც ხელისუფლების წინააღმდეგობას წააწყდა, ამასთან ამ ინიციატივას კონსტიტუციურობის პრობლემა არ აქვს. წინამდებარე დოკუმენტის შეზღუდული ფორმატის გამო, მასზე არ შევაჩერებთ ყურადღებას. იხ.: განმარტებითი ბარათი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე“, გვ. 3 - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/238095?>

პირველი საკითხი ამ მოდელის შესახებ კონსტიტუციასთან მის შესაბამისობას ეხება, რაც ინტერპრეტაციის საგანია. ორივე პოზიციას ჰყავს მხარდამჭერები. კონსტიტუციით ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია, რომ გვაქვს შერეული საარჩევნო სისტემა. ამ მოდელში, მანდატების განაწილების წესის მიხედვით, არსებობს: შერეული მაჟორიტარული (mixed-member majoritarian system) და შერეული პროპორციული (mixed-member proportional system) საარჩევნო სისტემები, რასაც კონსტიტუცია პირდაპირ და უშუალოდ არ ადგენს.

ავტორების აზრით, ინიციატივა სრულად თავსებადია კონსტიტუციასთან და მისი იმპლემენტაციისათვის მხოლოდ საარჩევნო კოდექსის ცვლილებაა საჭირო. მანდატების განაწილების პროპორციული წესი შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ 77-ზე, არამედ მთლიანად, 150 მანდატზე, იმ პირობით, რომ კონსტიტუციით დადგენილი პროპორცია არ დაირღვევა.²³ ოპოზიციას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მოდელი არ არის იდეალური, მაგრამ ოპტიმალური გამოსავალია პოლიტიკური კრიზისიდან, კონსტიტუციის შეცვლის გარეშე.

ხელისუფლების მთავარი არგუმენტი ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული მოდელის წინააღმდეგ – კონსტიტუციასთან მისი შეუსაბამობაა. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მოქმედი წესის მიხედვით, პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრისაგან, ხოლო მანდატების განაწილების კონკრეტული წესს ორგანული კანონი - საარჩევნო კოდექსი ადგენს.²⁴ მმართველი ძალა თვლის, რომ მანდატების განაწილების პროპორციული წესი, კონსტიტუციის მარტივი ლინგვისტური განმარტებით, მხოლოდ 77 მანდატზე ვრცელდება და არა პარლამენტის სრულ შემადგენლობაზე. ხელისუფლება ყურადღებას ამახვილებს კონსტიტუციის ჩანაწერის ისტორიულ და ლინგვისტურ განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, ძირითადი კანონის შემოქმედები შერეულ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას გულისხმობდნენ, რომლის ფარგლებშიც მაჟორიტარული და პროპორციული მანდატები პარალელურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ნაწილდება.

ტელეოლოგიური განმარტებით, რომელიც შეეხება სამართლის ნორმის დამოკიდებულებას სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ, უნდა განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება კანონმდებლის წარმოდგენები, რომელიც საფუძვლად დაედო ნორმის მიღებას, დღეს ამ ნორმის გა-

23 დებატები ირაკლი კობახიძესა და დავით უსუფაშვილს შორის ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, 10-43 წთ. - <https://www.youtube.com/watch?v=xUTsxQnxd38>

24 პარლამენტის არჩევის წესს დეტალურად საარჩევნო კოდექსი არეგულირებს, იხ.: თავი XII - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=56#part_106

მოყენების პრაქტიკას.²⁵ ე.წ. „გერმანული მოდელის“ მხარდამჭერები, დღეს არსებული პოლიტიკური კონტექსტისა და მანდატების განაწილების მოქმედი წესის არსებითი უსამართლობის გათვალისწინებით, თვლიან, რომ შემოთავაზებული ვარიანტი კონსტიტუციის არც ერთ იმპერატიულ დანაწესს არ არღვევს და მისი განხორციელება შესაძლებელია.

საქართველოში არჩევნების თემაზე მომუშავე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ „გერმანული მოდელის“ საარჩევნო სისტემა კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, რადგან არ არღვევს ძირითადი კანონით მკაცრად დადგენილ მანდატების თანაფარდობას. კონსტიტუცია არ ადგენს, არსებული სისტემის პროპორციული და მაჟორიტარული კომპონენტები პარალელურია, თუ პროპორციული სიის განაწილება დამოკიდებულია მაჟორიტარულ ოლქებში დამდგარ შედეგებზე. ამდენად, საარჩევნო კოდექსის ცვლილების შემთხვევაში, შესაძლებელია ამოქმედდეს შერეული საარჩევნო სისტემის ე.წ. „გერმანული მოდელის“ მოდიფიცირებული ვარიანტი.²⁶

მეორე სადავო საკითხია მანდატების განაწილება. მთავარი, რაც ქართულ ვარიანტს განასხვავებს კლასიკური გერმანული მოდელისგან²⁷, არის მანდატების რაოდენობის მაქსიმუმის კონსტიტუციით განსაზღვრულობის გათვალისწინება. ამ მოდელში პარტიების მიერ მაჟორიტარული და პროპორციული მანდატების განაწილებისას სამი ვარიანტი არსებობს. როცა პარტიის მიერ მიღებული მაჟორიტარული მანდატები პროპორციული წესით კუთვნილ ადგილებზე მეტია, ჩნდება პარლამენტის შემადგენლობაში ამომრჩევლის მხარდაჭერის შესაბამისი პროპორციის დარღვევის პრობლემა.²⁸ ამ დროს (აგრეთვე, როცა მაჟორიტარულ მანდატს იღებს დამოუკიდებელი ან საარჩევნო ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების/ბლოკების წარდგენილი კანდიდატი) გასანაწილებელი პროპორციული მანდატების რაოდენობა მცირდება, რადგან საქართველოს კონსტიტუ-

25 იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი - <http://gil.mylaw.ge/ka/term/879.html>

26 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://bit.ly/2Mwrf4o>

27 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით არ არის დადგენილი საკანონმდებლო ორგანოს სრული შემადგენლობის მაქსიმუმი, იხ.: Basic Law for the Federal Republic of Germany, Article 38.1,3 - <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf>

28 გერმანიაში დაახლოებით ისეთი წესი მოქმედებდა, როგორც ე.წ. „გერმანული მოდელითა“ შემოთავაზებული. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 და 2011 წელს იმსჯელა მანდატების განაწილების საკითხზე, არაკონსტიტუციურად მიიჩნია და მიუთითა, რომ, როცა კონკრეტული სუბიექტი მაჟორიტარული არჩევნების შედეგად იმაზე მეტ მანდატს იღებს, ვიდრე მისი ელექტორალური მხარდაჭერაა, ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვის პრინციპი ირღვევა. ეს კი, ერთი მხრივ, ამომრჩევლის ხმის თანასწორობას, ხოლო, მეორე მხრივ, პარტიების, მათი მხარდაჭერის პროპორციულ, პოლიტიკურ გავლენას არ უზრუნველყოფს. იხ.: Provisions of the Federal Electoral Act from which the effect of negative voting weight emerges unconstitutional –

<https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2008/bvg08-068.html>;
New procedure for allocating delegates' seats in the German Bundestag unconstitutional
<https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2012/bvg12-058.htm>

ცია იმპერატიულად ადგენს პარლამენტის წევრთა მაქსიმალურ რაოდენობას, განსხვავებით გერმანიის ძირითადი კანონისგან. გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს, პროპორციული მხარდაჭერით კუთვნილზე მეტი მაჟორიტარული მანდატის კომპენსირებას სხვა პარტიებისთვის ე.წ. „გამანონასწორებელი მანდატებით“ ან „გამათანაბრებელი (Ausgleichsmandate) მანდატებით“, რაც ზრდის პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობას, რათა პარტიების მიერ მიღებული ხმები პროპორციულად აისახოს მანდატებში და ასევე თითოეულ მანდატს თანაბარი ელექტორალური წონა ჰქონდეს.²⁹ ოპოზიციის ინიციატივა (რადგან კონსტიტუციის იმპერატიულ ნორმას გვერდს ვერ აუვლიდნენ, მისი შეცვლის რესურსი არ აქვთ) არის მცდელობა, არსებულ კონსტიტუციურ ჩარჩოში მხოლოდ საარჩევნო კოდექსის ცვლილებით შემოიტანოს პროპორციულობის პრინციპი.

არასამთავრობო სექტორის აზრით, საქართველოში მანდატების კონსტიტუციით მკაცრად დადგენილმა რაოდენობამ, შესაძლოა, გაართულოს მანდატების იდეალური პროპორციით განაწილება, მაჟორიტარულ კომპონენტში გამოვლენილი მანდატების არაპროპორციულობის დაბალანსება შესაძლებელია მანდატების ფიქსირებული ჯამური რაოდენობის პირობებშიც. ამდენად, ორგანიზაციების დასკვნით, ნებისმიერ შემთხვევაში, ე.წ. „გერმანული მოდელით“ ჩატარებული არჩევნები შედეგად მანდატების უფრო პროპორციულ და სამართლიან გადანაწილებას უზრუნველყოფს, ვიდრე საქართველოში დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემა.³⁰

რასაკვირველია, არ არსებობს არჩევნებში მონაწილეთა მიერ გამოვლენილი ნების შესაბამისად, პარტიებისთვის მანდატების მიკუთვნების სრულყოფილი სისტემა, მაგრამ, შესაძლებელია, შედარებით სამართლიანი მოდელის მიღება. ამომრჩეველთა ხმების საპარლამენტო მანდატებში სამართლიანად გარდასახვის კუთხით, გაცილებით უსამართლოა მანდატების განაწილების მოქმედი წესი, რომელმაც შესაძლებელი გახადა 50%-ზე ნაკლები მხარდაჭერით საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება.³¹ როცა პარტია მაჟორიტარული წესით იღებს იმაზე მეტ მანდატს, ვიდრე პროპორციული არჩევნების შედეგებით ერგებოდა, შეიძლება არსებითად შეცვალოს ამომრჩევლის ნების პროპორციული ასახვა (რა მიზნითაც არის წარდგენილი ეს ინიციატივა) მანდატებში, თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მოდელირებამ ოპოზიციის პროექტის მიხედვით აჩვენა, რომ „დამატებითი მანდატები“ არსებითად არ შეცვლიდა ამომრჩევლის ნების პარლამენტის შემადგენლობაზე ასახვის სურათს.³² ამავე დროს,

29 იხ.: ბ. ლოლაძე, გვ. 2-4, აგრეთვე - German Bundestag - Election of Members and the allocation of seats - <https://www.bundestag.de/en/parliament/elections/arithmetic>

30 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://bit.ly/2Mwrf4o>

31 ბ. ლოლაძე, გვ. 14

32 ცხრილი - საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების შედეგები გერმანული მოდელის ქართული ვარიანტის მიხედვით - იხ.: ბ. ლოლაძე, გვ. 11

პარტიების მიერ მიღებული მანდატების განაწილების რეზულტატი უფრო სამართლიანი იქნებოდა. გამარჯვებული ძალა არა თუ საკონსტიტუციო უმრავლესობას, არამედ სრული შემადგენლობის უმრავლესობასაც კი ვერ მოიპოვებდა, რაც მას მეტად განაწყობდა პოლიტიკურ სპექტრთან თანამშრომლობისთვის.³³

არსებითი საკითხია, რომ საარჩევნო სისტემა არ იძლეოდას ამომრჩევლის ხმების მანდატებში გარდასახვის ისეთ შესაძლებლობას, როცა 50%-ზე ნაკლები ელექტორალური მხარდაჭერის პირობებში, პოლიტიკურ პარტიას უბრალო ან, მით უმეტეს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება შეუძლია. ეს საფრთხეს უქმნის არჩევნების შედეგების სამართლიანობასა და ლეგიტიმურობას, ასუსტებს ხალხის გავლენას ხელისუფლებაზე, განსაკუთრებით მმართველობის საპარლამენტო მოდელის მქონე სახელმწიფოში, რადგან ამ დროს საკანონმდებლო ორგანოზე გავლენა მთელ ხელისუფლებაზე გავლენას ნიშნავს. სწორედ ამიტომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, მანდატების განაწილების მოთხოვნას ამომრჩევლის ნების შესაბამისად, დემოკრატიის პრინციპს უკავშირებს.³⁴ ყოველივეს გათვალისწინებით, ე.წ. „გერმანული მოდელი“ არა იდეალური, მაგრამ შესაბამისი გამოსავალია არსებული რთული სიტუაციიდან.

2.3. ხელისუფლების ინიციატივა

ხელისუფლების ინიციატივა,³⁵ არჩევნები ჩატარდეს შერეული საარჩევნო სისტემით, რომელშიც 100 დეპუტატი პროპორციული და 50 მაჟორიტარული წესით³⁶ იქნება არჩეული. ამ პირობებში, ძალაში რჩება მოქმედი საარჩევნო მოდელი, მანდატების პარალელური განაწილების პრინციპი, თუმცა მასში 2/3-მდე იზრდება პროპორციული წილი.

მმართველი ძალა მანდატების პარალელური დათვლის წესით განაწილებაზე უარს არ ამბობს. მაჟორიტარიზმის სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ მუშაობის გამო, „ქართული ოცნება“ იმედოვნებს, რომ უმეტეს მაჟორიტარულ მანდატს მიიღებს და პარლამენტში თავის წევრთა ჯამურ რაოდენობას გაზრდის. შეთანხმების მისაღწევად, კომპრომისის სახით, მზადაა, დათმოს 23 მაჟორიტარული მანდატი, რომელთა ნაღ-

33 იქვე, გვ. 11-12

34 იქვე, გვ. 13

35 „ქართული ოცნების“ ინიციატივა - <https://bit.ly/2rsd8pk>

36 ხელისუფლება უარყოფითად აფასებდა ოპოზიციის წინადადებას, მრავალმანდატიანი ოლქების შექმნისათვის არსებული საარჩევნო ოლქების გამსხვილების შესახებ. მათ მიერ წარმოდგენილ მოდელში კი ეს გარდაუვალი იქნება, რადგან 73-დან 50 მაჟორიტარული ოლქი უნდა დარჩეს. ეს ჯერ იდეის დონეზეა და უცნობია, კონკრეტულად როგორ ჩამოყალიბდება საარჩევნო ოლქები, როგორი იქნება „საარჩევნო გეოგრაფია“, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საარჩევნო პროცესზე.

ბაც, წინა არჩევნების გამოცდილებისა და მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით, შეეძლო.

2016 წლის არჩევნები ამ მოდელით რომ ჩატარებულიყო, მაშინდელი შედეგების გათვალისწინებით³⁷, მმართველი ძალა მაინც იმაზე მეტ მანდატს მიიღებდა, ვიდრე მისი პარტიული მხარდაჭერა უზრუნველყოფდა, მაგრამ, 48,68%-იანი რეიტინგის პირობებში, პროპორციულად ასი მანდატის ნახევარსაც ვერ მიიღებდა და ყველა მაჟორიტარული ოლქის მოგების შემთხვევაშიც კი საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ შექმნიდა. უმრავლესობის და, შესაბამისად, მთავრობის ფორმირებას კი უპრობლემოდ შეძლებდა, განსხვავებით ე.წ. „გერმანული მოდელის“ პირობებში სავარაუდო შედეგისგან. იგივეა მოსალოდნელი 2020 წლის არჩევნების ამ წესით გამართვის შემთხვევაშიც, რადგან ძალაში რჩება პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების დაჯამების პრინციპი. ამდენად, ამ ინიციატივით, ხელისუფლება საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შანსს თმობს, თუმცა უმრავლესობის მოპოვების სერიოზული პერსპექტივა რჩება.

დადებითი კუთხით, აღსანიშნავია, რომ ინიციატივით პროპორციული წარმომადგენლობის წილი იზრდება. 23 საპარლამენტო მანდატი, რომელიც მაჟორიტარებს უნდა მიეღოთ, პარტიების განკარგულებაში გადადის და, უმეტესად, ოპოზიციის სასარგებლოდ, რადგან მმართველ პარტიას, ფაქტობრივად, გარანტირებული 23 ხმა აკლდება. მართალია, ოცნების პროპორციული წილიც გაიზრდება პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობაში, რადგან მისი კუთვნილი პროპორციული მანდატები 77-ის ნაცვლად 100-დან გამოითვლება, მაგრამ, საერთო ჯამში, ეს ნამატი ბევრად ნაკლები იქნება 23-ზე. ამდენად, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ეს მოდელი უფრო სამართლიანია, ვიდრე ამჟამად მოქმედი საარჩევნო სისტემა, რადგან მეტად ითვალისწინებს პროპორციულ წარმომადგენლობას.

მნიშვნელოვანია, რომ ამ მოდელის განხორციელებისთვის აუცილებელია საკონსტიტუციო ცვლილებები, რადგან ძირითადი კანონით დადგენილი მანდატების პროპორციის (77/73) შეცვლას ითვალისწინებს. ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ აქვს, შესაბამისად, ამ ინიციატივის განხორციელებას ოპოზიციის ხმები დასჭირდება. ხელისუფლების მთავარი არგუმენტი ე.წ. „გერმანული მოდელის“ წინააღმდეგ ისაა, რომ მის განხორციელებას საკონსტიტუციო ცვლილებები სჭირდება, რისი რესურსიც არ არსებობს, ამავე დროს, აყენებს ინიციატივას, რომელიც ქვეყნის ძირითადი კანონის შეცვლას მოითხოვს.

ხელისუფლების შემოთავაზებას ოპოზიცია მკვეთრად უარყოფითად აფასებს, რადგან 100/50-ზე პრინციპულად და ფუნდამენტურად არაფერს ცვლის საარჩევნო თვალ-

37 ცესკოს შემაჯამებელი ოქმი საქართველოს პარლამენტის 2016 წლის პროპორციული არჩევნებისთვის- <http://cesko.ge/res/docs/ShemajamebeliProporciuli2016.pdf>

საზრისით, პოლიტძალების პროპორციულად წარმოდგენის მიზნისთვის.³⁸ განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა დაიმსახურა კონსტიტუციით გარანტირებული პროპორციული საარჩევნო სისტემის გაუქმების იდეამ, რომლის მიხედვითაც შემოთავაზებული მოდელი უნდა იყოს არა გარდამავალი, არამედ მუდმივი წესი.

სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში აღინიშნა. ეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ვენეციის კომისიის, აგრეთვე, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და პარტიების უმრავლესობის ხანგრძლივ მოთხოვნას შეესაბამებოდა და კომისია მიესალმა ამ ცვლილებას, რადგან არსებული შერეული სისტემა პრაქტიკაში, როგორც წესი, მმართველი პარტიებისთვის პარლამენტში დიდი უპირატესობის მინიჭების ტენდენციით ხასიათდებოდა.³⁹ პროპორციული საარჩევნო სისტემის გაუქმებით, ხელისუფლებას მის მიერვე განხორციელებული და საყოველთაოდ მოწონებული რეფორმა უკან მიაქვს.

3. დასკვნა და რეკომენდაციები

ამჟამად, გარკვეული არ არის, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ძალაში დარჩება არსებული რეგულირება. ნათელია, რომ წინა თავებში განხილული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების სამი, ამ ეტაპზე ყველა სავარაუდო მოდელიდან, ორივე შემოთავაზებული სიახლე სჯობს არსებულ სისტემას, რადგან ალტერნატივებს შორის მოქმედი მოდელის შენარჩუნება ყველაზე უსამართლო შედეგს იძლევა. ე.წ. „გერმანული მოდელი“, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაკლოვანებები აქვს, უფრო ახლოსაა ამომრჩევლის ნების მანდატებში პროპორციულად ასახვის პრინციპთან.

სრულად პროპორციული სისტემის გაუქმება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუცია ადგენდა პროპორციულ არჩევნებს: „საქართველოს პარლამენტი“... შესდგება საყოველთაო, თანასწორო, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან.“⁴⁰ საქართველოს ისტორიაში პირველი ლეგიტიმური ორგანოს - დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ჩა-

38 გიორგი ვაშაძის განცხადება - <https://bit.ly/2SulKXO>

39 Venice Commission – Opinions On The Draft Revised Constitution, 2017, para. 23, 27 - <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD%282017%29013-e>

40 საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხ. 46 - http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf

ტარდა „პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ“ და დაცული იყო „ძალთა განწყობილების პროპორცია“⁴¹.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე პოლიტიკური დიალოგისას სასწორზე ორი მთავარი ინტერესი დევს: წარმომადგენლობის პრინციპის რაც შეიძლება მეტად გათვალისწინება (რაც ახასიათებს პროპორციულ სისტემას) და სტაბილური მმართველობის შესაძლებლობის საკითხი (რაც მაჟორიტარიზმის უპირატესობაა).⁴² მთავრობის ფორმირების დაბრკოლების და პოლიტიკური კრიზისის რისკები, რასაკვირველია, გათვალისწინებული უნდა იყოს, თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს ამომრჩევლის ნების უგულებელყოფით, პარტიულ მხარდაჭერასა და საპარლამენტო მანდატებს შორის დისპროპორციის ხარჯზე.

ვენეციის კომისია და OSCE/ODIHR არ უწევს რეკომენდაციას რომელიმე კონკრეტულ საარჩევნო სისტემას. სახელმწიფო, ამ მხრივ, ფართო მიხედულებით სარგებლობს, რადგან ეს პოლიტიკური საკითხია⁴³ და კონკრეტული ქვეყნის სუვერენული გადაწყვეტილებაა, მაგრამ ივარაუდება, რომ **საარჩევნო სისტემამ უნდა გამოხატოს ხალხის ნება**.⁴⁴ საქართველოში ამჟამად მოქმედი შერეული მოდელი ამომრჩეველთა ხმების საპარლამენტო მანდატებში სამართლიან გარდასახვას ვერ უზრუნველყოფს. ასეთი უსამართლობის დაშვება თავისთავად პრობლემაა და ამასთან, ხელს უშლის პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრებას.

2020 წლის შემოდგომამდე წელიწადზე ნაკლებია დარჩენილი. მასშტაბური ცვლილებების განხორციელება არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში ეწინააღმდეგება კარგ საარჩევნო პრაქტიკას.⁴⁵ საჭიროა, გაჭიანურების გარეშე, დროულად მოინახოს გამოსავალი არსებული სიტუაციიდან და მხარეებმა რაც შეიძლება ადრე მიაღწიონ კონსენსუსს, რადგან საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობა არსებითია საარჩევნო პროცესის სანდოობისათვის, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის.

თუ ხელისუფლება, მის მიერ წარმოდგენილი ინიციატივის გათვალისწინებით, მზადაა, საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის რესურსი მოიძიოს, მაშინ უფრო გონივრული იქნებოდა, უკეთეს რეფორმას დაუჭირონ მხარი, მაგალითად: სრულად პროპორციული სისტემის ან კლასიკური გერმანული მოდელის შემოღებას.

41 ავტ. კოლექტივი - „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, გვ. 167 - https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_law/konst-2019.pdf

42 Venice Commission – Compilation of Venice Commission Opinions And Reports concerning Electoral Systems, (CDL-AD(2013)021 – Opinion on the electoral legislation of Mexico (para. 17), p.8

43 იქვე - Joint Opinion on the Act on the Elections of Members of Parliament of Hungary (para. 21), p.5

44 იქვე - Joint Opinion on the draft electoral code as of 18 April 2016 (para. 27), p.4

45 Venice Commission – Code of Good Practice in Electoral Matters, para. 65

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების წარმოდგენა:

1) ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინონ ამომრჩევლის ნების საპარლამენტო მანდატებში სამართლიანად ასახვის მნიშვნელობა და ეცადონ კომპრომისის მიღწევას, რადგან არსებული მოდელის დატოვება მოვლენათა განვითარების ყველაზე არასახარბიელო ვარიანტია;

2) ხელისუფლების მიერ წამოყენებული ინიციატივა გულისხმობს საკონსტიტუციო ცვლილებებს, თუ ამ მასშტაბის მხარდაჭერის რესურსი არსებობს, სასურველია, მხარეებმა იმსჯელონ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კლასიკური გერმანული მოდელით ან სრულად პროპორციული სისტემით ჩატარებაზე;

3) ხელისუფლებამ უნდა შეინარჩუნოს მის მიერ მიღწეული პროგრესი, რაც სრულად პროპორციული საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურ გარანტირებას გულისხმობს;

4) სასურველია, მოლაპარაკების პროცესი არ გაჭიანურდეს, რათა პოლიტიკურმა ძალებმა და ამომრჩეველმა დროულად შეძლონ რეფორმის გაანალიზება და არჩევნებისთვის მომზადება.

გამოყენებული წყაროები:

სამართლებრივი აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს კონსტიტუცია

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

2. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4110673?publication=0>

3. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/20692?publication=0>

4. საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=56>

5. კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

<https://info.parliament.ge/№law-drafting/18526>

6. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/238094?>

7. განმარტებითი ბარათი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტზე“

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/238095>

8. ცესკოს შემაჯამებელი ოქმი საქართველოს პარლამენტის 2016 წლის პროპორციული არჩევნებისთვის

<http://cesko.ge/res/docs/ShemajamebeliProporciuli2016.pdf>

9. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი (Basic Law for the Federal Republic of Germany)

<https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf>

10. 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია

<http://constcentre.gov.ge/failebi/1921-clis-konstitucia-33442.pdf>

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

<http://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=969>

12. European Commission for Democracy through Law (Venice Commission) – Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines And Explanatory Report

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2002\)023rev2-cor-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2002)023rev2-cor-e)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტ. კოლექტივი, პასუხისმგებელი რედაქტორი ა. დემეტრაშვილი - კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი, თბ. 2005 წ.

<https://bit.ly/378iPYE>

2. ავტ. კოლექტივი: ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე - „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა - მერიდიანი“, თბ. 2017 წ.

<https://www.tsu.ge/data/file-db/faculty-law/konst-2019.pdf>

3. ვ. ბაბეკი - კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995) (საერთაშორისო იურიდიული დახმარების შედეგები ტრანსფორმირებად სახელმწიფოში), ქართული თარგმანის მეორე უცვლელი გამოცემა, GLZ.

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/203880/1/KonstituciisShemushavebaDaMigebsaGartveloshin.pdf>

4. საქართველოს პარლამენტი - „საარჩევნო სისტემები“

<http://www.parliament.ge/files/1055-16721-957521-saarchevno-sistemebi.pdf>

5. ბ. ლოლაძე - „გერმანული საარჩევნო მოდელი და მისი საქართველოში იმპლემენტაცია (ანალიზი)“, ღია საზოგადოების ფონდი, 2019 წ.

<https://bit.ly/2T9WW7I>

6. კ. კილურაძე - „საარჩევნო სისტემები - საერთაშორისო გამოცდილება“

<https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba>

7. იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი -

<http://gil.mylaw.ge/ka/term/879.html>

8. European Commission for Democracy through Law (Venice Commission) – “Compilation of Venice Commission Opinions And Reports concerning Electoral Systems“, Strasbourg, 2019


[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI\(2019\)001-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-PI(2019)001-e)

9. European Commission for Democracy through Law (Venice Commission) – “Opinions On The Draft Revised Constitution“, Strasbourg, 2017

<https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf=CDL-AD%282017%29013-e>

გამოყენებული საინფორმაციო რესურსები:

1. ინფორმაცია საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრის შედეგებზე - <https://bit.ly/2MvJDdN>
1. „საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების მიმართვა საქართველოს პარლამენტს“ - <http://www.isfed.ge/main/904/geo/>
2. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შეფასება - არასამთავრობოების მიმართვა ვენეციის კომისიას - <http://old.isfed.ge/main/1222/geo/>
3. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://bit.ly/2Mwrf4o>
4. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemaze-mmartveli-partiis-gadatsqvetileba-miughebelia>
5. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://bit.ly/2Mwrf4o>
6. German Bundestag - Election of Members and the allocation of seats - <https://www.bundestag.de/en/parliament/elections/arithmetic>
7. Provisions of the Federal Electoral Act from which the effect of negative voting weight emerges unconstitutional - <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2008/bvg08-068.html>
8. New procedure for allocating delegates' seats in the German Bundestag unconstitutional - <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2012/bvg12-058.html>
9. დავით უსუფაშვილის განცხადება - <https://bit.ly/2tV6U2i>
10. არჩილ თალაკვაძის განცხადება - <https://bit.ly/39iSYz6>
11. არჩილ თალაკვაძის განცხადება - <https://bit.ly/350CckU>
12. დებატები ირაკლი კობახიძესა და დავით უსუფაშვილს შორის ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, 10-43 წთ. - <https://www.youtube.com/watch?v=xUTsxQnxd38>
13. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება - <https://bit.ly/2Mwrf4o>
14. „ქართული ოცნების“ ინიციატივა - <https://bit.ly/2rsd8pk>
15. გიორგი ვაშაძის განცხადება - <https://bit.ly/2SulKXO>



კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

გამოცემაზე მუშაობდნენ

ალლა გამახარია

ეკატერინე გამახარია

ლალი შენგელია

ლია კოსტავა

მისამართი:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6

ტელ: (431) 27 13 68

597 40 51 46

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/

გამოიცა ვიშეგრადის ფონდის მხარდაჭერით

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს